მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 32-ე წელი

ხუთშაბათი, 10 აპრილი, 1952 წ. № 86 (9246). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

მტკიცდება თავისუფალ ხალხთა კულტურული კავშირი—„პრავდის“ 9-IV მოწინავე (1-ლი გვერდი).

სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურისა და ვოლგა-ურალის თვითმდინარი არხის მშენებელთა წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (1-ლი გვერდი).

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია: — დეპუტატების ა. ი. ქანდარიას, დ. ზ. რომელაშვილის, შ. ს. შეყლაშვილის და ლ. კ. შამბას სიტყვები (მე-2 გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია — დეპუტატების ვ. ზ. ალბოროვის, ა. თ. ხელიძის და თ. ნ. ქვლივიძის სიტყვები (მე-3 გვერდი).

ნ. სამორუკოვი — მარქსის ბენეფიციური ქმნილება (მე-3 და მე-4 გვერდი).

საერთაშორისო ტარიფული ხელშეკრულება ბირზე (მე-4 გვერდზე).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში (მე-4 გვერდი).

კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

მტკიცდება თავისუფალ ხალხთა კულტურული კავშირი

იზრდება და მტკიცდება ურღვევი მეგობრობა სოციალისტური ბანაკის თავისუფალი ხალხებისა, რომლებიც წარმატებით აშენებენ ახალ ცხოვრებას. კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელნი სულ უფრო დიდ წარმატებებს აღწევენ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

ხელში აიღეს რა ძალაუფლება, ჩინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, ალბანეთის მშრომელებმა გადაჭრეთ და სამუდამოდ მოიღეს ბოლო მემამულეთა და კაპიტალისტთა წინანდელ მონოპოლიას კულტურასა და მეცნიერებაზე, ცოდნის შეძენის ფართო შესაძლებლობა მოიპოვეს. კაპიტალისტებსა და მემამულეებს სიბნელისა და უმეცრებაში ჰყავდათ ხალხის მასები, განათლების მიღების შესაძლებლობას უსპობდნენ მათ. ჩინეთში რევოლუციის გამარჯვებამდე მთელი მოსახლეობის ცხრა მეათედი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. პოლონეთში, რუმინეთში, ბულგარეთში ექსპლოატატორთა ბატონობის დროს წერა-კითხვა არ იცოდა მოსახლეობის დაახლოებით ნახევარმა, ალბანეთში კი ნახევარზე მეტმა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მშრომელთა ხელისუფლება თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე ყველა ღონისძიებას ახორციელებს მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობისათვის. ამ ქვეყნებში გაჩაღებული კულტურული რევოლუცია აღინიშნა მშრომელთა უფართოესი მასების კულტურული დონის ამაღლებით. ამჟამად სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში გახსნილია ათასობით სკოლა, ათობით ახალი უმაღლესი სასწავლებელი, ტექნიკუმი, ათასობით სიბანმოსანი სკოლა და კურსები. საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი კულტურის განვითარებას ხმარდება.

სახალხო-დემოკრატიულმა წყობილებამ ისტორიული შემოქმედების ასპარეზზე გამოიყვანა მშრომელთა მილიონიანი მასები, გაუღვიძა მათ ცოდნის შეძენის წყურვილი, მოწინავე კულტურის დაუფლების მისწრაფება. მშრომელებმა გულმოდგინედ მოჰკიდეს ხელი სწავლას. სწრაფად იზრდება ხალხთან მჭიდროდ დაკავშირებული ახალი ინტელიგენციის კადრები, ვითარდება ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლის კეთილშობილური იდეებით გამსჭვალული ეროვნული კულტურა. უდიდესი მასშტაბით გაჩაღდა კულტურული შენებლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში დიდი გაქანება მიიღო გამომცემლობის საქმემ. განუზომლად გაიზარდა მშრომელთა მოთხოვნილება წიგნზე. წინათ ამ ქვეყნებში პოლიტიკური, მხატვრული, სამეცნიერო და საწარმოო-ტექნიკური ლიტერატურა არასოდეს არ გამოდიოდა ისე დიდი ტირაჟებით, როგორც ამჟამად. ამ ქვეყნების მშრომელებს საშუალება მიეცათ თავიანთ დედა ენაზე წაიკითხონ დიდი ბელადების და მასწავლებლების — მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის გენიალური ნაწარმოებნი.

ახალი, ჭეშმარიტად სახალხო კულტურის შენებლობა მიმდინარეობს მშრომელებისათვის უცხო ბურჟუაზიული იდეოლოგიის, კათმომყურეობისა და ექსპლოატაციის იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში.

თავისუფალ ხალხთა კულტურულ მშენებლობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის გამოცდილებას, რომლის სოციალისტური კულტურა ნიშნავს ახალ ეტაპს პროგრესული კაცობრიობის ხულიერ განვითარებაში.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ნაყოფიერი კულტურული თანამშრომლობა დამყარდა. კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო ასეთი ურთიერთობა, რომლის მთელი შინაარსი გამსჭვალულია ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეებით, მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის კეთილშობილური იდეებით.

საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის განსამტკიცებლად სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში მშრომელებმა შექმნეს მეგობრობის საპეციალური საზოგადოებანი და კავშირები. ისინი ერთიანებენ მილიონობით მუშას, გლეხსა და ინტელიგენტს.

გაზეთი „ენენმინყიბაო“ ამას წინათ იუწყებოდა, რომ მარტო უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებას შეემატა ოც მილიონზე მეტი წევრი და ამჟამად იქ 23 მილიონზე მეტი კაცი ითვლება.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მეგობრობის საზოგადოებანი და კავშირები აწყობენ გამოფენებს სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის მიღწევათა შესახებ, ავრცელებენ საბჭოთა სტახანოველების გამოცდილებას, ათასობით ქმნიან წრეებს რუსული ენის შესასწავლად.

კულტურული ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცებისა და გაფართოების მიზნით სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ეწყობა მეგობრობის ერთთვიურები. ამ ერთთვიურების დროს ხდება მეცნიერების, კულტურის მოღვაწეთა, წარმოების მოწინავეთა დელეგაციების ურთიერთ გაცვლა, ეწყობა კინოფილმების ფესტივალები, იმართება თეატრალური და მუსიკალური კოლექტივების, ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა გამოსვლები.

სოციალისტური ბანაკის თავისუფალ ხალხთა კულტურული თანამშრომლობა ვითარდება მათი ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებასა და განმტკიცებასთან ერთად. იგი ხელს უწყობს ხალხთა შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, თვითეული ხალხის კულტურის გამდიდრებას, ემსახურება მშვიდობისა და ახალი ცხოვრების მშენებლობის დიად საქმეს. თავისუფალ ხალხთა კულტურული თანამშრომლობა, აგებული თანასწორუფლებიანობისა და ძმური მეგობრობის ეკონომიურ პრინციპებზე, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე მსოფლიო კულტურის განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

„საბჭოთა ადამიანები, — ამბობს ამხანაგი სტალინი,—ფიქრობენ, რომ ყოველ ერს სხვ ერთია—დიდა თუ მცირეს, თავისი თვისებრივი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და რომელიც სხვა ერებს არ მოეპოვებათ. ეს თავისებურებანი ის წვლილია, რომელიც ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საერთო საგანძურში შეაქვს და ავსებს, ამდიდრებს ამ საგანძურს“.

ჩვენი ქვეყნის მილიონობით ადამიანი უაღრესად ცხოველი ინტერესით ადევნებს თვალყურს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ახალი ცხოვრების მშენებლობას, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას. საბჭოთა ადამიანები დიდი სიხარულით ხვდებიან მოძმე ხალხების ყოველ ახალ წარმატებას.

თავისუფალ ხალხთა კულტურული ურთიერთობის გაფართოების ახალი დადასტურებაა ის, რომ საბჭოთა მთავრობამ 1951 წლის სტალინური პრემიები მიანიჭა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მწერალთა ჯგუფს. თვალსაჩინო ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში რუსულ ენაზე თარგმნილი გამოქვეყნდა, სტალინური პრემიები მიენიჭა ჩინელ მწერლებს დინ ლინს, ჯოუ ლი-ბოს, ხე ძინ-ჯისა და დინ-ნის, უნგრელ მწერლებს ტამაშ აცელსა და შანდორ ნადს.

სსრ კავშირში დიდი ტირაჟებით გამოდის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და ჩინეთის ცნობილი მწერლების ნაწარმოებნი. საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ ამ ქვეყნების მზარდი კინოხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებს. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და სხვა ქალაქებში გულთბილად ხვდებიან ჩინელ, კორეელ, მონღოლ, პოლონელ, ჩეხოსლოვაკ, უნგრელ, რუმინელ, ბულგარელ და ალბანელ მსახიობებს.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირს ეწვია, თავის ანგარიშში წერდა: „ჩინელი ხალხის წარგზავნილ ჩვენს დელეგაციას მხურვალედ და გულთბილად ხვდებოდნენ... ჩვენ ვხვდებოდით სხვადასხვა წრის ადამიანებს, რის მეოხებითაც ისინი კიდევ უფრო ღრმად გაეცნენ ახალ ჩინეთს და მის მიღწევებს. ამ შეხვედრებმა კიდევ უფრო განამტკიცა ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა და კავშირი“.

ამას წინათ სსრ კავშირის მთავრობამ და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა ძალებით ვარშავაში კულტურისა და მეცნიერების სახალხის მაღალი შენობის აგების შესახებ.

„კულტურისა და მეცნიერების სახალხე, რომელიც სოციალისტურ ვარშავაში აღიმართება,—წერს პოლონური გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“,—იმ მარადიული მეგობრობის სიმბოლო იქნება, რომელიც პოლონელ ხალხს საბჭოთა ხალხთან აერთიანებს...

მაშინ როცა ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები ნანგრევებად და ფერფლად აქცევენ კორეას. ცდილობენ აგრესიის ალი მოხდონ მთელ მსოფლიოს, იმ მომენტში, როცა ისინი დანაშაულებრივად აიძულებენ დამოკიდებული ქვეყნების მთავრობებს დაამტკიცონ შეიარაღების დიდი ასიგნობანი, რითაც შეუძლებელს ხდიან რაიმე სამშვიდობო მშენებლობას, მშვიდობის ბანაკის თავისუფალი ხალხები, ხოლო მათთან ერთად პოლონეთიც, საბჭოთა კავშირის ფასდაუდებელი დახმარებით აშენებენ ახალ სამრეწველო ობიექტებს, საცხოვრებელ სახლებს, კულტურის კერებს“

დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ხალხები აშენებენ ახალ ცხოვრებას, ახალ კულტურას. თავიანთ ძალებს ახმარენ რა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, ისინი აძლიერებენ სიფხიზლეს, ამხილებენ ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების მტრების ოინებს.

თავისუფალ ხალხთა მეგობრობა, რაც სულ უფრო მტკიცდება, მათი თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება ახალი ცხოვრების მშენებლობის, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის შემდგომ წარმატებათა საწინდარია.

„პრავდის“ 9/IV მოწინავე

გამოვიდა გაზეთ „სტალინელის“ პირველი ნომერი

ქუთაისი, 8 აპრილი. (საქდესი). 8 აპრილს გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო და საქალაქო კომიტეტების და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს ორგანოს გაზეთ „სტალინელის“ პირველი ნომერი.

გაზეთის პირველ გვერდზე მოთავსებულია ამხანაგ ი. ბ. სტალინის პორტრეტი.

გაზეთის პირველ ნომერში მოთავსებულია მოწინავე სტატია „რედაქციისგან“, რომელიც ეხება ახალი გაზეთის წინაშე მდგომ ამოცანებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მასალები. ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ბ. ლომიძის სტატია მოგვითხრობს პარტიისა და მთავრობის სტალინურ მზრუნველობაზე მშრომელთა საჭიროებისათვის. ახალ ოლქზე თვალსაჩინო წარმოდგენას გვაძლევს გაზეთში მოთავსებული ქუთაისის ოლქის რუკა. ნომერში გამოქვეყნებულია აგრეთვე ოლქის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა წერილები.

გაზეთი „სტალინელი“ დიდი ფორმატისაა, ოთხგვერდიანია, გამოდის ყოველდღე.

სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურისა და ვოლგა-ურალის თვითმდინარი არხის მშენებელთა წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი

სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურისა და ვოლგა-ურალის თვითმდინარი არხის მშენებლებმა წერილით მიმართეს საბჭოთა ხალხის ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

—ომისშემდგომ წლებში სტალინგრადის მხარეში გაჩაღდა ბუნების გარდაქმნის გრანდიოზული სამუშაოები, — ნათქვამია წერილში. — ექვსი მინდორსაცავი ტყის ზოლი მთლიანად ან ნაწილობრივ ჰკვეთს სტალინგრადის ოლქის მიწებს. გაზაფხულზე მოქმედ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მწყობრში ჩადგება კომუნიზმის დიად მშენებლობათა პირმშო—ვოლგა-დონის“ არხი. სტალინგრადის ჩრდილოეთით შენდება სტალინგრადის მძლავრი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი ენერგეტიკული წყარო იქნება ჩვენი ქვეყნის ბევრი რაიონისათვის. სტალინგრადის ჰიდროკვანძი გარდაქმნის ბუნებას ვოლგისპირეთის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე, გააუმჯობესებს კასპიის ზღვისპირა დაბლობს—დამღუპავი ხორშაკების ამ მუდმივი კერის კლიმატურ პირობებს.

სტალინგრადის ჰესის მშენებლობის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ გასული წელიწადნახევარი მშენებელთა კოლექტივისათვის იყო მშენებლობის ფართო სამუშაოებისათვის მზადების დაძაბული ბრძოლის პერიოდი, დიდ საკვლევ სამუშაოთა და ძირითად ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობისათვის მზადების პერიოდი.

წინანდელ უდაბურ ადგილებში, ვოლგის ორივე ნაპირზე, შენდება მისასვლელი გზები, დამხმარე საწარმოები, ქარხნები, ავტობაზები, სახელოსნოები და საწყობები. სტალინგრადში ჩნდება საცხოვრებელი სახლების ახალი კვარტალები. ვოლგის მარცხენა ნაპირზე დაიწყო ჰიდრომშენებელთა ქალაქის მშენებლობა.

წელს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა დიდად მატულობს. აცნობეს რა ეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს, სტალინგრადის ჰესისა და ვოლგა-ურალის თვითმდინარი არხის მშენებლებმა იკისრეს შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი:

—სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულონ ვადამდე—20 ოქტომბრისათვის. ამ ვადისათვის:

1. შეუდგნენ გრუნტის ამოღებას ჰესის ქვაბულიდან, წყალსაშვები კაშხალიდან და რაბიდან; მოამზადონ ქვაბულები წყალსაქცევისათვის. ააგონ ჰიდროკვანძის მიწის ზღუდარები და ჩაასონ ლითონის შპუნტი გასწვრივ ზღუდარში. გაიყვანონ 6 კილომეტრი სიგრძის ვოლგა-ახტუბის არხი.

2. დაამთავრონ ცენტრალური სარემონტო-მექანიკური ქარხნის მშენებლობა და გადასცენ იგი საექსპლოატაციოდ. ააგონ 160 კილომეტრი მაღალვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზები და ქვესადგურები. დაიწყონ ხის დამამუშავებელი, ავტოსარემონტო და ბეტონის ავტომატური ქარხნების მშენებლობა, აგრეთვე საბაგირო გზის გაყვანა ვოლგაზე.

3. ააგონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ 70 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, განახორციელონ ჰიდრომშენებელთა ქალაქისა და მუშათა დაბების საცხოვრებელი უბნების გამწვანება და კეთილმოწყობა. ააშენონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ 300-საწოლიანი საავადმყოფო, საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღი, პურის ქარხანა და სხვა ობიექტები. გააჩაღონ კლუბის მშენებლობა.

4. მოწინავე მეთოდების დანერგვის საფუძველზე 11 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება. განახორციელონ მიწის სამუშაოთა მექანიზაცია 98 პროცენტით, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაცია — 80 პროცენტით და საბათქაშო-სამღებრო სამუშაოთა — 50 პროცენტით. მიწისმთხრელი მანქანების უკეთ გამოყენებით გადაჭარბებით შეასრულონ ნორმები: ექსკავატორებისა და ბულდოზერებისა — 10 პროცენტით, სკრეპერებისა და გრეიდერ-ელევატორებისა — 12 პროცენტით. შეამცირონ ავტოგადაზიდვის თვითღირებულება 5 პროცენტით.

წერილის დასასრულს ნათქვამია:

— პირობას გაძლევთ, ამხანაგო სტალინ, რომ მთელ ჩვენს ძალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოვახმართ ნაკისრ ვალდებულებათა ღირსეულად შესრულებას. (საკდესი).

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

მეავტომობილეები წარმატებით მუშაობენ

ქუთაისი. (საკ. კორ.). საავტომობილო ქარხნის მოტორების საამქროს სტახანოველები საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ფარგლებში ახალ-ახალ წარმატებას აღწევენ. დღითიდღე მრავლდება სტახანოველ მეავტომობილეთა რიგები.

საამქროში დაწინაურდა გადაბმულობის უბანი, რომელსაც უფროსი ოსტატი ამხ. ს. ამირანაშვილი ხელმძღვანელობს. უბნის სტახანოველები დღითიდღე ზრდიან საწარმოო მაჩვენებლებს, მინიმუმამდე ამცირებენ წუნს, აუმჯობესებენ დაზგების გამოყენებას.

ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობით განსაკუთრებით გაითქვა სახელი ხარატმა გ. ჯიშკარიანმა, მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებით წარჩინებული სტახანოველი დღეში სამ ნორმას ანაღდებს. ასევე მაღალი მაჩვენებლებით მუშაობენ მხეხავი გ. შალამბერიძე და ხარატი ტ. ლორთქიფანიძე. ორივე მათგანი 200-250 პროცენტით ასრულებს ყოველდღიურ ნორმას.

სტახანოველთა ნაყოფიერ მუშაობას დიდად უწყობს ხელს სტახანოველი ამწყობის ამხ. მ. კაპანაძის ენერგიული შრომა. იგი სწრაფად და მაღალხარისხოვნად ასწორებს ხაზზე ყოველგვარ დაზიანებას, რითაც საგრძნობლად ამცირებს დაზგების მოცდენას.

მაკარონის ფაბრიკის კოლექტივის ვალდებულებანი

თბილისის მაკარონის ფაბრიკის კოლექტივმა საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა თვალსაჩინო გადაჭარბებით შეასრულა და დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

ფაბრიკის კოლექტივი ჩაება საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და გადაწყვიტა როგორც ნატურალური, ისე საერთო პროდუქციის გამოშვების აპრილის გეგმა შეასრულოს 104 პროცენტით და ზუსტად დაიცვას დაწესებული ასორტიმენტი, ეს პროცენტამდე აიყვანოს სანიმუშო ხარისხის პროდუქციის გამოშვება, გეგმასთან შედარებით 5 პროცენტით გაადიდოს შრომის ნაყოფიერება და 1 პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება, აპრილში დაზოგოს 1,5 ტონა ფქვილი, 2 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 105 პროცენტით შეასრულოს დაგროვების გეგმა და სანიმუშო სანიტარული წესრიგი იქონიოს საწარმოში.

ფაბრიკაში ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია სასურსათო საქონლის საცალო ფასების ახალმა შემცირებამ. მშრომელთა კეთილდღეობაზე ზარტიისა და მთავრობის ამ მორიგი მზრუნველობის პასუხად ფაბრიკის კოლექტივი ენერგიის დაუზოგავად შრომობს საპირველმაისო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის.

მანქანათმშენებელთა შრომითი აღმავლობა

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

ქარხნის კოლექტივი წელს პირველ კვარტალში შეუდგა ახალი სახის პროდუქციის — ჩაის საკრეფი ცირველი საცდელი მანქანის ათვისებას. ცნობილია, რომ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფას ხელით აწარმოებენ. ეს სამუშაო მეტად შრომატევადია და დიდი რაოდენობით მოითხოვს მუშახელს. ჩაის საკრეფი ახალი მანქანა თვითონ კრეფს და ახარისხებს ჩაის ფოთოლს, ამავე დროს მკრეფავს უადვილებს შრომას. ამჟამად ჩაის საკრეფი მანქანის ათვისებაზე მუშაობს ექსპერიმენტული სამქროს კოლექტივი, კერძოდ ის ბრიგადა, რომელსაც ცნობილი სტახანოველი შ. ომანიძე ხელმძღვანელობს. შ. ომანიძის ბრიგადა გასული წლის მესამე კვარტალიდან ინარჩუნებს საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის წოდებას და გამომუშავების დღიურ ნორმებს სამ-ოთხმაგად ასრულებს.

თბილისელმა მანქანათმშენებლებმა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ბათუმის ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი. ამ შეჯიბრებაში თბილისელმა მანქანათმშენებლებმა იკისრეს 103 პროცენტით შეასრულონ აპრილის დავალება, გეგმის გადამეტებით გამოუშვან ხუთი ნახევრადავტომატური მანქანა, საპირველმაისოდ გამოუშვან ჩაის საკრეფი ორი მანქანა და წინა წელთან შედარებით 15 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება.

მანქანათმშენებლებმა ახალი შრომითი აღმავლობით დაიწყეს მეორე კვარტალი. გაჩაღებულია შეჯიბრება საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვების, თვითეულ ნაკეთობასა და დეტალზე ლითონის ხარჯვის შემცირებისა და დანაკარგების ლიკვიდაციისათვის. კარგა ხანია საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის წოდება აქვთ მოპოვებული ზეინკალთა მ. ბაღდასაროვის და ს. კირაკოზოვის ბრიგადებს.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებაში საუკეთესო წარმატებებს აღწევს მღარავთა კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც ვ. ვაშაკიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადა გამომუშავების დღიურ ნორმებს 300-350 პროცენტით ასრულებს. დღეში სამ-ოთხ ნორმას იძლევიან საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ოსტატები მრანდავი ვ. კვატაშიძე, ზეინკალი ვ. აბრამიშვილი, მღარავი ლ. გოქაძე.

ქარხანაში ფართოდ ინერგება რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წინადადებები, რის გამო მნიშვნელოვან ეკონომიას აღწევენ ლითონის ხარჯვის შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში. წელს უკვე მიღებული და წარმოებაში დანერგილია 25 რაციონალიზატორული წინადადება, რამაც ქარხანას 15.000 მანეთზე მეტი ეკონომია მისცა და მნიშვნელოვანი რაოდენობით დაუზოგა ფერადი ლითონი.

აგური გეგმის გადამეჭებით

ხაშური. (საკ. კორ.). საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაშურის აგურის ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 32.700 ცალი წითელი აგური და დაყალიბებულია 195.000 ცალი ნედლი აგური. ამასთან მარტში დაზოგილია 15 ტონა სათბობი და 1.500 კილოვატსაათი ელექტროენერგია, ხოლო ხელოვნურ საშრობებში საშუალოდ 2 საათით შემცირდა ალიზის შრობის ხანგრძლივობა.

საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულების საქმეში დაწინაურდა საგამოწვო და საყალიბო საამქროები. სტახანოველები კ. ბითაძე, მ. გამგონიძე, ს. მალიძე, ვ. გოგოლაძე, ვ. ხაჩიძე და სხვები გამომუშავების ნორმებს 200 და მეტი პროცენტით ასრულებენ.

აგურის ქარხნის კოლექტივი ჩაება საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა აპრილის დავალება ვადაზე 5 დღით ადრე გაანაღდოს.

ვაგონშემკეთებელთა წარმატება

სამტრედია. (საკ. კორ.). სავაგონო დეპოს მუშაკთა კოლექტივი წარმატებით ანაღდებს საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას. აქ მარტში საბარგო ვაგონების კაპიტალური შეკეთების გეგმა 150 პროცენტით გაანაღდეს, საშუალო შეკეთებიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 2 ვაგონი, ხოლო წლიური შეკეთებიდან—4 ვაგონი. სამტრედიელი ვაგონშემკეთებლები ენერგიის დაუზოგავად შრომობენ იმისათვის, რომ პირველი მაისისათვის შეასრულონ საბარგო ვაგონების კაპიტალური შეკეთების ხუთი თვის გეგმა, ხოლო 25 აპრილისათვის — ვაგონების საშუალო და წლიური შეკეთების გეგმები. ამასთან მათ იკისრეს ქვეყანას მისცენ 50 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით გამოირჩევიან სტახანოველები ორდენოსანი მჭედელი ბ. ჯორბეიძე, ზეინკლები ა. ღაღანიძე, ა. ნიკოლეიშვილი, ზ. ნიკურაძე, ხარატები ე. ახობაძე, ვ. ნაცვლიშვილი, დურგლები მ. გაგუა, პ. მანჯგალაძე და სხვები, რომლებიც ყოველდღიურ გეგმებს 150-300 პროცენტით ანაღდებენ.

რკინიგზის ხაზები სადგურ ზახია-ზაშიდან

ტაშკენტი, 7 აპრილი. (საკდესი). უზბეკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. ი. ნიაზოვის თავმჯდომარეობით გაიმართა თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის ხელშემწყობი რესპუბლიკური კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა ურგენჩიდან სადგურ ტახია-ტაშამდე რკინიგზის გაყვანის სამუშაოთა დამთავრებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

ახალი გზის მშენებლობის უფროსმა გ. ხოჯაევმა და შუა აზიის ჰიდრომშენებლობის სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ვ. ერისთავმა კომისიას აცნობეს, თუ რა სამუშაოები ხორციელდება. სოფეტ-იაბის არხზე შენდება ხიდი, რომელიც შესაძლებელს გახდის რკინიგზის ხაზი მიყვანილ იქნას ტახია-ტაშის ჰიდროკვანძის სამშენებლო მოედნამდე. ამავე დროს ჩქარი ტემპით გაპყავთ რკინიგზის შტო ტახია-ტაშის სადგურიდან რაიონულ ცენტრ ხოჯეილამდე. ამ შტოს აგება საშუალებას იძლევა უკვე უახლოეს მომავალში გამოყენებულ იქნას ახალი გზა არა მარტო თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობისათვის განკუთვნილი ტვირთების გადასაზიდავად, არამედ ყარა-კალფაკეთის ასს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის საჭირო ტვირთების გადასაზიდავადაც.

თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის ხელშემწყობმა რესპუბლიკურმა კომისიამ დასახა ღონისძიებანი სადგურ ტახია-ტაშიდან რკინიგზის ხაზების გაყვანის სამუშაოთა დასაჩქარებლად. ტახია-ტაშ-ხოჯეილის რკინიგზის შტოს მშენებლობა ვარაუდით 20 აპრილისთვის უნდა დამთავრდეს.

თამბაქოს ფოთლის მექანიკური აცმა ზონარზე

ზონარზე თამბაქოს ფოთლის მექანიკურად ასაცმელი მანქანა შექმნა აზერბაიჯანის ბელაქნის რაიონის თიმურ ყულიევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის მჭედელმა შაბან ალიევმა. ალიევის გამოგონება განიხილა აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკურმა საბჭომ. თავის ვადაწყვეტილებაში მან მოიწონა თამბაქოს ფოთლის ასაცმელი ახალი მანქანის კონსტრუქცია. (საკდესი).

ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილეს მომწყობ კომიტეტში

7 აპრილს გაიმართა იტალიელი მხატვრის ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილეს მომწყობი კომიტეტის სხდომა.

კომიტეტის თავმჯდომარემ სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა ბ. ვ. იოგანსონმა მოხსენება გააკეთა ღირსშესანიშნავი თარიღისათვის მზადების შესახებ.

ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში მიმდინარეობს ენერგიული მზადება ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლისთავისათვის.

კომიტეტმა გადაწყვიტა მიმდინარე წლის 15 აპრილს მოაწყოს მოსკოვში ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთო-საქალაქო საზეიმო სხდომა.

ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლისთავის მოწყობაში მონაწილეობისათვის კომიტეტმა იტალიიდან მოიწვია მხატვართა და მწერალთა ჯგუფი (საკდესი).

ლეონარდო და ვინჩისადმი მიძღვნილი გამოფენა

5 აპრილს ისტორიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიხსნა დიდი იტალიელი მხატვრის ლეონარდო და ვინჩის დაბადების 500 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენის ცენტრში მოყვანილია ფ. ენგელსის ცნობილი სიტყვები: „ლეონარდო და ვინჩი იყო არა მარტო დიდი მხატვარი, არამედ დიდი მათემატიკოსი, მექანიკოსი და ინჟინერი, რომელსაც ფიზიკის უაღრესად სხვადასხვა დარგები უნდა უმადლოდნენ დიდმნიშვნელოვან აღმოჩენებს“.

წარმოდგენილია დამახასიათებელი ნაშრომები აღორძინების ეპოქისა, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლეონარდო და ვინჩი. ვიტრინებში გამოფენილია ლეონარდო და ვინჩის რჩეული ნაწარმოებნი და მისი შესანიშნავი სურათების რეპროდუქციები. გამოფენილია აგრეთვე საბჭოთა მეცნიერების ნ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

კამათი საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ ა. ი. ქანდარიას სიტყვა

(ქალაქ სუხუმის ბერიას საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესანიშნავი კუთხის — აფხაზეთის მშრომელებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის აყვავების საქმეში, უზრუნველყვეს 1951 წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულება. მნიშვნელოვნად გაადიდეს თამბაქოს, ჩაის, ციტრუსებისა და სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების მოსავლიანობა. აფხაზეთის მრეწველობამ გასული წლის სახელმწიფო გეგმა 114 პროცენტით შეასრულა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ მუშაობა. მისმა კოლექტივმა 1951 წელს 4-ჯერ ზედიზედ მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

1951 წლის სახელმწიფო გეგმა სუხუმის სამრეწველო საწარმოებმა 112 პროცენტით შეასრულეს, ამასთან გეგმების შესრულებას თან სდევდა პროდუქციის ასორტიმენტის გადიდება და მისი ხარისხის გაუმჯობესება. პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 11,2 პროცენტით. ქალაქის მთელმა რიგმა საწარმოებმა გასწიეს საწვავის, ელექტროენერგიის, ნედლეულისა და მასალების მნიშვნელოვანი ეკონომია და დანაზოგი მასალებით დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს. წარმატებით სრულდება საწარმოო გეგმები წელსაც.

ღღითიდღე იზრდება და მშვენიერდება ქალაქი სუხუმი. განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა ქალაქის კეთილმოწყობის მიზნით უკანასკნელი 6-7 წლის განმავლობაში. ახლა ქალაქის ყველა ძირითად ქუჩაზე დაგებულია ასფალტი. წინათ ჩვენ განვიცდიდით ელექტროენერგიის ნაკლებობას, ამჟამად ელექტროენერგიით მთლიანად უზრუნველყოფილია სამრეწველო საწარმოები, მოსახლეობა, თითქმის ყველა ქუჩა განათებულია ლამპიონებით. ქალაქს აქვს თავისი ახალი წყალსადენი, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის შეუფერხებელ მომარაგებას სასმელი წყლით.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ქალაქის გამწვანება. მწვანე ნარგავების ფართობი შეადგენს 244 ჰექტარს. ამ ფართობს წელს დაემატება კიდევ 15 ჰექტარი.

სუხუმის სიამაყეა სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალი შენობა. თეატრის მშენებლობა მაისში დამთავრდება. წელს დამთავრდება რამდენიმე ორ და სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის, აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციული სახლების მშენებლობა, რეკონსტრუირებულ, კეთილმოწყობილ და განათებულ იქნება ორი ახალი ქუჩა. ნაწილობრივი რეკონსტრუქცია გაუკეთდება რამდენიმე ქუჩას, ქალაქის ტერიტორია დამატებით გამწვანდება დეკორაციული მცენარეებით.

სუხუმში ამჟამად მიმდინარეობს მაცივრის, რძის ქარხნის, ლუდისა და თევზსაბოლავი ქარხნების მშენებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობა დიდი შეფერხებით მიმდინარეობს, სათანადო სამინისტროები და სამშენებლო სამმართველოები ნაკლებად ზრუნავენ აღნიშნულ მშენებლობათა დროულად დამთავრებისათვის.

რამდენიმე წელია შენდება ქალაქში თევზსაბოლავი ქარხანა. მიუხედავად იმისა, რომ მისი საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადა მრავალჯერ იყო დაწესებული, მშენებლობის დამთავრებას მაინც ბოლო არ უჩანს.

ასევე უნდა ითქვას ლუდის ქარხნის მშენებლობაზე, რომელიც დაწყებული იყო ჯერ კიდევ 1948 წელს. ამ ქარხნის ამუშავების პირველი ვადა იყო 1950 წელი, შემდეგ 1951 წელი, ახლა კი—1952 წლის მეორე კვარტალი. მიუხედავად იმისა, რომ კვების მრეწველობის სამინისტრო უკანასკნელ ხანებში მეტ დახმარებას უწევს ამ ქარხნის მშენებლობას, დაწესებული დროსათვის მისი ამუშავება მაინც ფერხდება. პირველად ქარხნის სიმძლავრე პროექტით გათვალისწინებული იყო 10,0 ათასი ჰექტოლიტრი, შემდეგ გადაწყდა გადიდებულიყო 20,0 ათას ჰექტოლიტრამდე, მაგრამ ამის შესაბამისად შედგენილი არ არის ხარჯთაღრიცხვა, მიღებული არ არის ქარხნის სხვადასხვაგვარი მოწყობილობა.

კვების მრეწველობის სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს ეს მდგომარეობა და მიიღოს ზომები ქარხნის ტექნიკური დოკუმენტაციითა და მოწყობილობით უზრუნველყოფისათვის.

ფერხდება მაცივრისა და რძის ქარხნების მშენებლობა. ეს მშენებლობა დროზე რომ დამთავრდეს, საჭიროა დამატებითი ასიგნება 745 ათასი მანეთის რაოდენობით, საბრუნავი თანხის დამატებით გაცემა არანაკლებ 500 ათასი მანეთისა, მოწყობილობისა და საშენი მასალების გამოყოფა სამშენებლო სამმართველოს და ხორცის კომბინატის განაცხადების შესაბამისად.

ვთხოვთ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს გაითვალისწინოს ეს გარემოება და უზრუნველყოს სუხუმის მაცივრისა და რძის ქარხნის მშენებლობის დასამთავრებლად საჭირო მოწყობილობის, მასალების, ავტომანქანებისა და თანხების გამოყოფა.

საქართველოს კომუნალური მეურნეობის სამინისტროსაგან მეტ ზრუნვას მოითხოვს სუხუმის საქალაქო მეურნეობა, განსაკუთრებით წყალსადენი, კანალიზაციისა და ელექტროქსელის მეურნეობა. საქართველოს კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ვთხოვთ მიიღოს ზომები სუხუმის წყალსადენისა და ელექტროქსელის მეურნეობის საჭირო მასალებითა და მოწყობილობით უზრუნველსაყოფად.

ვუერთდები აქ გამოსულ დეპუტატების წინადადებას მინისტრთა საბჭოს მიერ სესიის განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1952 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. საქართველოს ბიუჯეტის საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია. ეს არის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ზრდისა და მშვიდობიანი მშენებლობის ბიუჯეტი.

საქართველოს მშრომელები, დიდი სტალინის თანამებრძოლის, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ამხანაგ ბერიას მიერ სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილნი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ღირსეულ ადგილს დაიკავებენ საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა შორის, წარმატებით განაგრძობენ ბრძოლას კომუნიზმის აშენებისათვის, უზრუნველყოფენ საბჭოთა მთავრობისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მითითებათა პირნათლად შესრულებას.

დიდება კომუნიზმის დიდ მესაჭეს, საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა ორგანიზატორს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა იმედს ამხანაგ სტალინს! (ტაში).

დეპუტატ ბ. ზ. რომელაშვილის სიტყვა

(ქალაქ გორის რკინიგზის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის გენიალური წინამძღოლობით განუხრელი აღმავლობის გზით მიდის ჩვენი სამშობლოს სოციალისტური სახალხო მეურნეობა, კულტურა.

მთელ ქართველ ხალხთან ერთად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს ქალაქ გორის მშრომელებმაც. ქალაქის მრეწველობამ გასული 1951 სამეურნეო წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა, წლიური გეგმა 111,6 პროცენტით შეასრულა და 17.500 ათასი მანეთით მეტი პროდუქცია გამოუშვა 1950 წელთან შედარებით.

1951 წელს საწარმოო-საფინანსო გეგმები ვადამდე დიდი გადაჭარბებით შეასრულეს საკონსერვო და საყუთესაკასრე ქარხნებმა, ხორცკომბინატმა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა.

ჩვენი ქალაქის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იყო ბამბის ქსოვილების კომბინატის სართავი და საქსოვი პირველი საამქროების საექსპლოატაციოდ გადაცემა. 1 აპრილისათვის გორელმა ფეიქრებმა სამშობლოს უკვე მისცეს 843 ტონა ნართი და 2.182 ათასი მეტრი წმინდა ქსოვილი.

კომბინატმა წლევანდელი სამეურნეო წელი, მიუხედავად მთელი რიგი დამბრკოლებელი მიზეზებისა, კარგად დაიწყო და საკმაო წარმატებებსაც მიაღწია. აქ ახლა სისტემატურად სრულდება ყოველდღიური, დეკადური და თვიური დავალებანი. პირველი კვარტალის პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით. მაგრამ, მიუხედავად ზოგიერთი დადებითი მაჩვენებლისა, კომბინატის მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებანი. ქალაქის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოები ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. კარგი იქნება, რომ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროც დაინტერესდეს გორელი ფეიქრების მუშაობით. მართალია, კომბინატი საკავშირო მნიშვნელობის საწარმოა, მაგრამ ეს, ჩვენი აზრით, ხელს არ უნდა უშლიდეს იმას, რომ სათანადო ქმედითი დახმარება გაეწიოს მას რესპუბლიკაში უპირველეს ყოვლისა სპეციალისტებით და ზოგიერთი მასალით.

ქალაქ გორის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის სამუშაოების გაშლასთან დაკავშირებით ყოველწლიურად დიდდება კაპიტალური დაბანდებანი მშენებლობის დარგში. მართლა გასულ 1951 წელს 10 მილიონი მანეთით მეტი თანხა იყო გამოყოფილი, ვიდრე 1950 წელს.

გაწეულ მუშაობასთან ერთად უნდა ვაღიაროთ, რომ 1951 წლის სამშენებლო გეგმების შესრულებაში სერიოზული ჩამორჩენა გვქონდა. მართალია, ქალაქის ძირითადმა სამშენებლო ორგანიზაციებმა, როგორიც არის ბამბის ქსოვილების კომბინატის მშენებლობა, მდინარე მტკვარზე ხიდის მშენებლობა, მუზეუმის მშენებლობა და ქალაქის სამშენებლო სარემონტო ტრესტი, წლიური სამშენებლო გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს; მაგრამ მთლიანად ქალაქ გორის სამშენებლო ორგანიზაციების მიერ წლიური გეგმის შესრულება მხოლოდ 95,6 პროცენტს შეადგენს.

ქალაქ გორში ისეთ მნიშვნელოვან ობიექტების მშენებლობას, როგორიც არის მუზეუმი, საავადმყოფო, სასტუმრო „ინტურისტი“, ოცბინიანი სახლი, სტადიონი და სხვ., აწარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქმშენის“ ტრესტის გორის კანტორა. მან გასული წლის გეგმა მხოლოდ 87,7 პროცენტით შეასრულა და, გარდა მუზეუმისა და სტადიონის მშენებლობისა, ყველა სხვა ობიექტის მშენებლობაში ჩამორჩა. ამ სამშენებლო ორგანიზაციის ზარაღი დღეისათვის 800 ათას მანეთს აღემატება. ასეთი ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის არის, რომ აღნიშნული კანტორა და ტრესტი „საქმშენი“ წლების განმავლობაში ცუდად მუშაობენ. ტრესტს არა აქვს სათანადო მექანიზმები და რაც აქვს, ისიც ცუდად არის გამოყენებული. მოუგვარებელია შრომის ორგანიზაცია და, რაც მთავარია, ტრესტი დაკომპლექტებული არ არის საქმის მცოდნე და კეთილსინდისიერი კადრებით.

გორის დასავლეთ ნაწილში, ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, იქ, სადაც რამდენიმე წლის წინათ გაუტეხავი ჭალა და დაჭაობებული ადგილი იყო, სწრაფი ტემპით შენდება გორელ ფეიქართა ახალი სოციალისტური ქალაქი და თვით გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატი. არსებული პროექტის მიხედვით კომბინატს საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ წელიწადში 17,5 მილიონი მეტრი წმინდა ქსოვილი უნდა გამოეშვა. შარშან სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ კომბინატის მეორე რიგის სამშენებლო სამუშაოები უკვე დაიწყო. კომბინატის მეორე რიგის სამუშაოების დამთავრების შემდეგ სახელმწიფო წელიწადში მიიღებს 40 მილიონ მეტრზე მეტ გორულ წმინდა ბამბის ქსოვილს.

პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ყურადღების შედეგად ქალაქ გორში დიდი და სერიოზული სამშენებლო და კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. ქალაქის რეკონსტრუქციისა და დაგეგმარების 15-წლიანი გეგმა, რომელიც მიღებულ იქნა 1950 წლის თებერვალში, ხორციელდება. შენდება. მრავალი საწარმო, საცხოვრებელი ბინა, ქუჩა, მოედანი და სკვერი. სერიოზული ღონისძიებებია განხორციელებული ქალაქის კეთილმოწყობისათვის. მაგრამ მუშაობაში ჯერ კიდევ გვაქვს არსებითი ნაკლოვანებანი, რასაც აუცილებლად გავითვალისწინებთ და გამოვასწორებთ.

ქალაქის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის სამუშაოების გაშლას დიდად აფერხებს საპროექტო ორგანიზაციების მოუქნელი და უხარისხო მუშაობა. ამ მხრივ აღსანიშნავია საპროექტო ორგანიზაციების „საქსახპროექტის“, „საქსოფლპროექტის“ და სხვ. უპასუხისმგებლო მუშაობა. არის არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს მიერ პროექტების გაჭიანურების შემთხვევები, საჭიროა დაჩქარდეს სამსართულიანი სახლის პროექტის განხილვა.

საპროექტო ორგანიზაციებისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ დაპროექტების ტემპი და ხარისხი.

ქალაქ გორის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის სამუშაოთა გაშლასთან დაკავშირებით ვთხოვთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გითვალისწინოს ქალაქ გორში ერთი საპროექტო ორგანიზაციის ან რომელიმე ძლიერი საპროექტო ორგანიზაციის ფილიალის ჩამოყალიბება.

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გაშლილია დიდი სამშენებლო და კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელთა შემდგომი გაშლისა და გაფართოების ინტერესები მოითხოვს ადგილობრივ საშენ მასალათა მოპოვებისა და დამუშავების საქმის ძირფესვიანად გაუმჯობესებას. ამ მხრივ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მუშაობა ვერ აკმაყოფილებს მშენებლობათა გაზრდილ მოთხოვნილებას. სამინისტროს საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია ხშირად დაბალხარისხოვანი და ძვირია. სრულიად მოუწყობელია ისეთი ძვირფასი მოსაპირკეთებელი მასალის საკარიერო მეურნეობა, როგორიც არის ეკლარის ქვა, ბოლნისის ტოფი, კუსლების გრანიტი და სხვ. ჩვენს ქალაქში ისეთი სერიოზული სამშენებლო ობიექტების მოპირკეთება, როგორიც არის მუზეუმი, სასტუმრო „ინტურისტი“, ადმინისტრაციული სახლი, უნივერმაღი და სხვ.. გათვალისწინებულია ეკლარის ქვით. მართალია, წელს ჩვენ ათასზე მეტი კუბმეტრი ეკლარის ქვა გვჭირდება. მაგრამ დღემდე ამ ქვით სამშენებლო ობიექტების მომარაგება სრულიად არადამაკმაყოფილებელია, რაც ძლიერ აფერხებს სამუშაოების დამთავრებას. საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს ეს მდგომარეობა და შეუფერხებლად მოგვამარაგოს საჭირო საშენი მასალით.

საჭიროა აღინიშნოს ზოგიერთი სამინისტროს არაოპერატიული ხელმძღვანელობა. გორში ჩვენ გვაქვს საკმაოდ ძლიერი საავტომობილო ბაზა, რომელიც მომსახურებას უწევს მრავალ რაიონს, სამხრეთ ოსეთის ჩათვლით. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს არცერთი ხელმძღვანელი მუშაკი გორში არ გვინახავს საქმისათვის ჩამოსული. ეს ამხანაგები ხშირად ქალაქდებიან მიწერ-მოწერით კმაყოფილდებიან.

ამხანაგო დეპუტატებო! სესიის განსახილველად წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი საკავშირო უზრუნველყოფს ჩვენი რესპუბლიკის მომდინარე წლის ამოცანების მაღალხარისხოვნად და გადაჭარბებით შესრულებას. მხარს ვუჭერ ბიუჯეტის ამ პროექტს, რადგან იგი მძლავრი პირობაა ჩვენი შემდგომი აღმავლობისა, ჩვენი ეკონომიკის შემდგომი წინსვლისა, ჩვენი ხალხის მაღალი კულტურის შემდგომი გაფურჩქნა-აყვავებისა.

პარტიისა და მთავრობის უდიდესი ყურადღებით გარემოსილი გორის მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ბელადის სამშობლო ქალაქი გორი გახდონ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი, ისეთი, როგორც ეს შეეფერება მის ისტორიულ სახელსა და ღირსებას.

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მშვიდობის დიდ მედროშეს, ამხანაგ სტალინს! (ტაში).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია: უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ერთი ჯგუფი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

დეპუტატ შ. ს. შეყლაშვილის სიტყვა

(ჭიათურის რაიონის ნიგოზეთის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! ჭიათურის მარგანეცის მშრომელებმა დიდი მუშაობა გასწიეს მარგანეცის მრეწველობის საწარმოო ნაგებობათა მშენებლობის, საბინაო მშენებლობის, მუშამოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, მუშათა საცხოვრებელი უბნებისა და მარგანეცის ქალაქის კეთილმოწყობის დარგში. აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ქალაქ ჭიათურაში საუკეთესო მუშათა თეატრი, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მუშათა კლუბი, კეთილმოწყობილ იქნა ქალაქის ქუჩები, მოედნები და ხიდები, აშენდა ექვსი სასადილო და მაღაზია, აბანო და სხვ. მარტო 1951 წელს ქალაქის კეთილმოწყობაზე ოთხ მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა.

მაგრამ მოპოვებულ წარმატებებთან ერთად არის მთელი რიგი მიზეზები, რომლებიც აფერხებენ მარგანეცის მრეწველობის შემდგომ განვითარებას.

ჭიათურის მარგანეცის საწარმოო და საბინაო მშენებლობა 1946 წლიდან დავალებული აქვს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სამშენებლო ტრესტს, რომელსაც ჭიათურაში ჩამოყალიბებული აქვს სამშენებლო სამმართველო — „ჭიათურამშენი“. ეს ორგანიზაცია შეუწყნარებლად ნელა და ძალიან ცუდად მუშაობს. მისი არსებობის პერიოდში მშენებლობის გეგმა ერთხელაც არ შესრულებულა.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ რკინიგზა ვერ უზრუნველყოფს მარგანეცის ტრესტის მიერ გამოშვებული მარგანეცის მადნის გაზიდვას. იმის გამო, რომ ამიერკავკასიის რკინიგზამ ვერ უზრუნველყო ჩვენ მიერ გამოშვებული მარგანეცის მადნის გაზიდვა, მარტო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაუზიდავი დარჩა 60 ათას ტონაზე მეტი მარგანეცის მადანი. ამჟამად მარგანეცის მადნის ყველა სასაწყობო მოედანი მაქსიმალურად გადატვირთულია. მოგეხსენებათ, რომ გეგმები ყოველკვარტალურად მზარდია, და თუ რკინიგზამ ვერ უზრუნველყო გასულ წელს და მიმდინარე წელს პირველ კვარტალში დამზადებული პროდუქციის გაზიდვა, მომავალში უფრო ცუდი მდგომარეობა იქნება.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობამ პირველი კვარტალის გეგმა ყველა სადგომ ასორტიმენტის დაცვით შეასრულა.

მიმდინარე წელს მარგანტრესტის ობიექტების მშენებლობაზე გათვალისწინებულია დაიხარჯოს 42 მილიონი მანეთი. მათ შორის ჭიათურამშენმა უნდა აითვისოს 16 მილიონი მანეთი.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1952 წლის ბიუჯეტი, რომელიც წარმოდგენილია სესიაზე დასამტკიცებლად, სავსებით შეესაბამება ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი აღმავლობის ამოცანებს. მე მხარს ვუჭერ გამოსულ დეპუტატთა წინადადებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1952 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

გაუმარჯოს ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მშვიდობის დიდ მედროშეს, გენიალურ ბელადს დიდ სტალინს! (ტაში).

დეპუტატ ლ. კ. შამგალას სიტყვა

(აფხაზეთის ასსრ ლიხნის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ სესიის განსახილველად წარმოდგენილი 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად უზრუნველყოფს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ახალ აღმავლობას.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით, ამხანაგ სტალინის ყოველდღიური მზრუნველობის მეოხებით საქართველოს მშრომელებმა ომისშემდგომ პერიოდში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

აფხაზეთის მშრომელები, ისევე როგორც მთელი ქართველი ხალხი, მთელი ძალღონით იბრძვიან იმისათვის, რომ შეასრულონ სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის მიერ დასახული მთავარი ამოცანა—ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ამაღლება, საზოგადოებრივი ცირუტყვის სულადობის გადიდება, მისი პროდუქტიულობის შემდგომი ზრდის უზრუნველყოფა.

გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობებში გასულ წელს გადიდდა ჩაისა და ციტრუსების ნარგავების, ვენახების, ხეხილისა და სხვა მრავალწლიანი კულტურების ფართობი. 1951 წელს რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის ჩაის მწვანე ფოთლის ჩაბარების გეგმა შეასრულეს 123,3 პროცენტით, ციტრუსების დამზადებისა — 149 პროცენტით და ყურძნისა 136,3 პროცენტით.

იზრდება კოლმეურნეობათა ნატურალური და ფულადი შემოსავალი, მტკიცდება არტელების საზოგადოებრივი მეურნეობა, იზრდება კოლმეურნეთა კეთილდღეობა. ეს ნათლად ჩანს სოფელ დურიფშის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მაგალითზე, სადაც შარშან საერთო ფულადმა შემოსავალმა 10 მილიონი მანეთი შეადგინა, ხოლო შრომადღის ღირებულება უდრის 32 მანეთს ფულად და 6 კილოგრამ მარცვლეულს.

საზოგადოებრივმა შრომამ კოლმეურნეებს ბედნიერი და შეძლებული ცხოვრება მოუტანა. აი რატომ არის, რომ უსაზღვრო სიყვარულისა და მადლობის თავის პირველ სიტყვას კოლმეურნე გლეხობა უძღვნის ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს, საკოლმეურნეო მშენებლობის გენიალურ შემოქმედს.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ მთავრობის მიერ წარმოდგენილი 1952 წლის ბიუჯეტის პროექტი სავსებით უპასუხებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ამოცანებს. მხარს ვუჭერ დეპუტატების წინადადებას მისი დამტკიცების შესახებ.

ეჭვი არ არის, რომ ქართველი ხალხი საქართველოს კ. პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ღირსეულად შეასრულებს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის მიერ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს.

გაუმარჯოს ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს! (ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

კამათი საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ ვ. ზ. ალბოროვის სიტყვა

(სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ავნევის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებმა მთელ ქართველ ხალხთან ერთად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების დარგში.

1951 წელს ოლქის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა გამოუშვეს 11 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე 1950 წელს; მნიშვნელოვნად არის შემცირებული თვითღირებულება. მაგრამ ოლქში ჯერ კიდევ არის რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოები, რომლებმაც ვერ შეასრულეს გასული წლის საწარმოო გეგმები. ჩვენ ყველა ზომას მივიღებთ ამ საწარმოთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობაა გაწეული ქალაქ სტალინირისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობისათვის, სკოლების, სამკურნალო დაწესებულებების, გზების მშენებლობისათვის.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სოფლის მეურნეობამ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანის — ხორბლის წარმოების გადიდების ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში. ნათესი ფართობების გადიდებისა და მოსავლიანობის ზრდის შედეგად 1951 წელს ხორბლის საერთო მოსავალი 1950 წელთან შედარებით გაიზარდა 78 პროცენტით. სახელმწიფოს ჩაბარდა 2,6-ჯერ მეტი ხორბალი, ვიდრე 1950 წელს.

წარმატებით შესრულდა შაქრის ჭარხლის, ხორცის, კარტოფილის, მატყლის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები.

კოლმეურნეობებში წლითიწლობით მატულობს საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა.

საკოლმეურნეო მინდვრები სარწყავი სეზონის დასაწყისისათვის წყალს მიიღებენ ვანათის სარწყავი არხიდან.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში სამხრეთ ოსეთმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარების დარგში. ოლქის 364 დაწყებითს, 8-წლიან და საშუალო სკოლაში ამჟამად სწავლობს 23.687 მოსწავლე. წარმატებით მუშაობს სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. სტუდენტთა რიცხვი აქ 600 კაცს აღემატება.

სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არ იყო სამეცნიერო დაწესებულებანი. ამჟამად ოლქს აქვს საკუთარი სამეცნიერო ცენტრი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

ოლქში ამჟამად ითვლება 150 სამკურნალო დაწესებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი უზრუნველყოფს ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ამიტომ მხარს ვუჭერ წინადადებას საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტი განუყრელად დაკავშირებულია საქართველოს სსრ ბიუჯეტთან, იგი მისი შემადგენელი ნაწილია.

ჩვენი ოლქის მშრომელთა წარმატებანი ასახულია 1951 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულებაში. ბიუჯეტი შესრულებულია შემოსავლის ნაწილში 105,7 პროცენტით და გასავლის ნაწილში 100,2 პროცენტით.

შარშან ბიუჯეტმა უზრუნველჰყო ჩვენი ოლქის მთელი სახალხო მეურნეობის შეუფერხებელი დაფინანსება. ბიუჯეტის გასავლის ნაწილის საერთო თანხიდან 6.721 ათასი მანეთი დახარჯულია სახალხო მეურნეობის განვითარებაზე. 48.077 ათას მანეთზე მეტი მოხმარდა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის საჭიროებებს, ხელოვნების განვითარებას და ფიზკულტურულ მუშაობას.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 1952 წლის ბიუჯეტის პროექტი განსაზღვრულია შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 60.126 ათასი მანეთის რაოდენობით და ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი წლის — 1946 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 20.183 ათასი მანეთით, ხოლო 1940 წლის ბიუჯეტთან შედარებით 27.181 ათასი მანეთით ანუ 83,9 პროცენტით.

ამხანაგო დეპუტატებო! სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ბოლშევიკური პარტიის გარშემო, მშობლიური სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მთელ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ 1952 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა და მიაღწიონ ახალ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის და მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ამხანაგ სტალინს! **(ტაში).**

დეპუტატ ა. თ. ხელიძის სიტყვა

(ქუთაისის რაიონის ოფურჩხეთის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგები თვალნათლივ გამოხატავენ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერებას, მის შემდგომ ზრდას.

ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ამ მიმართულებით ხორციელდება სერიოზული ღონისძიებები. შენდება ახალი საავადმყოფოები პოლიკლინიკებით, სამშობიარო სახლები და სხვ. კერძოდ წელს შენდება 19 ახალი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, მათ შორის 12 რაიონული საავადმყოფო პოლიკლინიკებით. დუშეთის, თიანეთის, ლენტეხის, კაჭრეთის საავადმყოფოები და თბილისის ინფექციური საავადმყოფოს ორი კორპუსი დამთავრდება მიმდინარე წელს. საპროექტო-საძიებო სამუშაოებისთვის გამოყოფილია 600.000 მანეთი.

1951 წელს კაპიტალური მშენებლობის გეგმა შესრულებულ იქნა 68,7 პროცენტით. გეგმის შეუსრულებლობაში გარკვეული დანაშაული მიუძღვით სამინისტროს და ადგილობრივი პარტიულ-სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს (მარნეული, დუშეთი, თიანეთი, ცაგერი და სვარელი). ამ საქმეში განსაკუთრებული დანაშაული მიუძღვის „საქმშენს“, რომელმაც ჩაშალა სტალინირის სამშობიარო სახლის მშენებლობა, შეაფერხა გორის საავადმყოფოს მშენებლობა.

უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაუმჯობესდა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მომარაგება საჭირო მოწყობილობით, სურსათით, გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურება.

დიდი რუსი მეცნიერის აკადემიკოს ი. პავლოვის მოძღვრება დღითიდღე უფრო ღრმად ინერგება ჩვენს სამკურნალო დაწესებულებებში. ფართოდ არის გამოყენებული დიაგნოსტიკის და მკურნალობის ახალი მეთოდები და საშუალებები: ძილით მკურნალობა, აკადემიკოს ფილატოვის წესით ქსოვილების გადანერგვა, გორდეევის სითხით სომსიანების მკურნალობა, ბრონქოსკოპია, რადიო-რენტგენოთერაპია ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობაში, ეპილეპსიის მკურნალობა კარმანოვას წესით, ფილტვების ტუბერკულოზის ქირურგიული მკურნალობა, ანტიბიოტიკები და სხვ.

მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს მალარიასთან ბრძოლის საქმეში. აფხაზეთის სამალარიო სადგურის გამგეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ამხ. ჰ. ჯაფარიძეს სტალინური პრემია მიენიჭა.

მიუხედავად მიღწევებისა, ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. დისპანსერების მნიშვნელოვანი ნაწილი უზრუნველყოფილი არ არის სტაციონარებით, თბილისში საწოლთა რაოდენობა არ შეესაბამება არსებულ ნორმატივებს, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არა გვაქვს არც ერთი სომატიური საავადმყოფო.

ადგილობრივი ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მოუქნელი ხელმძღვანელობის გამო ცუდად მუშაობენ მთელი რიგი სოფლების საუბნო საავადმყოფოები, სამშობიარო სახლები, ბაგები. საქვაჭრობა და ცეკავშირი კვების პროდუქტებით სათანადოდ არ აბარაგებენ ზოგიერთ სამკურნალო დაწესებულებას, კაჭრეთის საავადმყოფოში იყო უხეში დარღვევები.

ოლქების შექმნასთან დაკავშირებით უნდა გაგვეხსნა საოლქო სანეპიდსადგურები და სამალარიო სადგურები. მიუხედავად იმისა, რომ შტატების მხრივ ამის საშუალება გვაქვს, მათი გახსნა ჯერჯერობით მაინც ვერ მოხერხდა.

1952 წელს ბიუჯეტის პროექტით ჯანმრთელობის დაცვისათვის გათვალისწინებულია 445.043,5 მანეთი, ე. ი. გასულ წელთან შედარებით 6,5 პროცენტით მეტი. მიუხედავად დიდი თანხების დაბანდებისა, ჩვენი კურორტები ჯერ კიდევ საჭიროებენ კეთილმოწყობას.

გასულ წელს ზოგიერთ სამკურნალო დაწესებულებაში იყო თანხების განიავებისა და მითვისების შემთხვევები. სიფხიზლის მოდუნების შედეგად მედმომარაგებიდან ყალბი საბუთებით გასცეს 43 ათასი მანეთის საქონელი.

ფინანსთა მინისტრმა ამხ. კ. სოხაძემ და დეპუტატმა ა. გიგოშვილმა დამსწრეთა ყურადღება გაამახვილეს საუწყებო რევიზიის გაძლიერებაზე, რაც სრულიად სამართლიანია. აუცილებელ და გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს სარევიზიო შტატის გადიდება.

ამხანაგო დეპუტატებო! ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე ადგილობრივი ბიუჯეტით 1952 წელს გათვალისწინებულია 375.457 ათასი მანეთი, რესპუბლიკური ბიუჯეტით — 69.586 ათასი მანეთი. კადრების მომზადებაზე რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით — 40.793 ათასი მანეთი და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებზე— 18.765 ათასი მანეთი. სახალხო მეურნეობის გეგმის შესაბამისად ეს თანხები უზრუნველყოფენ ჯანმრთელობის დაცვის საქმის შემდგომ განვითარებას და გაუმჯობესებას.

ამხანაგო დეპუტატებო! უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე წარმოდგენილი 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დასახული დიდი და პასუხსაგები ამოცანების შესრულების საქმეს. მხარს ვუჭერ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებას.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს დიდ სტალინს! **(ტაში).**

დეპუტატ თ. ნ. ქვლივიძის სიტყვა

(ქალაქ თბილისის 300 არაგველის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! ქალაქ თბილისის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ენერგიას არ ზოგავენ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ახალ საფეხურზე ასაყვანად, შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად, პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად.

თბილისის მშრომელებმა 1951 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილი გადაჭარბებით შეასრულეს. შემოსავლის ნაწილი ნაცვლად დამტკიცებული 287.717.000 მანეთისა, შეადგენს 311.222.500 მანეთს. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები ვერ ითვისა ტრესტმა „თბილისმშენმა“, რომელმაც დიდი ზარალი ნახა. საკოლმეურნეო ბაზრებმა ბიუჯეტს 1.224.200 მანეთი დააკლეს.

ბიუჯეტის გასავლის ნაწილი შესრულებულია 295.666.000 მანეთით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 287.317.000 მანეთისა.

ქალაქ თბილისის 1952 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მოცულობა, დაგეგმილია როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში 294.308.000 მანეთის ოდენობით. აქედან კომუნალურ და საბინაო მეურნეობაზე გათვალისწინებულია 65.277.000 მანეთი. სახალხო განათლების ღონისძიებებზე 105.855.700 მან., მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვაზე 85.926.800 მანეთი, მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფაზე 1.443.000 მანეთი.

საბჭოთა სახელმწიფოს და მშრომელი ხალხის ინტერესები მოითხოვს ბიუჯეტით გამოყოფილი თანხების სწორად ათვისებას და ნაყოფიერ გამოყენებას. ამისათვის საჭიროა სამუშაოს სწორი ორგანიზაცია, მშენებლობის ხანგრძლივობის შემცირება, საშენი მასალების მომჭირნეობით ხარჯვა. მაგრამ არასწორი ხელმძღვანელობის და სუსტი კონტროლის შედეგად ზოგან არის სამშენებლო სამუშაოთა გაძვირებისა და სახელმწიფო თანხების განიავების შემთხვევები.

მელიქიშვილის ქუჩაზე № 18 საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 1949 წლის მეოთხე კვარტალში დაიწყო, სახლი 11 თვის შემდეგ უნდა დამთავრებულიყო, სინამდვილეში დამთავრდა 1951 წლის სექტემბერში—ცხრა თვის დაგვიანებით.

აგარაკ წყნეთის წყალსადენის მშენებლობა დაიწყო 1949 წლის ბოლოს, სამუშაო ძირითადად დამთავრდა 1951 წლის სექტემბერში, ცხრა თვის დაგვიანებით. სამშენებლო სამუშაოების დაგვიანებით შესრულებამ გამოიწვია ზედმეტი ხარჯები და აღნიშნული ობიექტების თვითღირებულების გადიდება. დიდი გადახარჯვა იყო ტრესტ „თბილისმშენში“ და სხვა სამშენებლო ორგანიზაციებში. ტრესტის პირველმა სამშენებლო კანტორამ (კანტორის უფროსი ჩიკაშვილი) 1951 წლის 8 თვის გეგმა 91,3 პროცენტით შეასრულა.

ყოველწლიურად დიდი თანხები იხარჯება საცხოვრებელი სახლების შეკეთებისა და კეთილმოწყობისათვის, მაგრამ სათანადოდ მოგვარებული არ არის საცხოვრებელი სახლების ექსპლოატაცია, არასაკმაოდ ხორციელდება პროფილაქტიკა და საჭირო ღონისძიებები ნაგებობათა უკეთ მოვლისა და შენახვის უზრუნველსაყოფად. სამუშაოს დაბალხარისხოვნად შესრულების გამო ზოგჯერ საჭირო ხდება შეკეთების განმეორებით შესრულება. არ არის გამონახული საშუალებები, რომლებიც გააუმჯობესებდა საცხოვრებელი ფონდის მდგომარეობას და შეამცირებდა საექსპლოატაციო ხარჯებს.

ქალაქ თბილისის მოსახლეობის მომსახურების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს გზებს. ამ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობა, რაც გამძლე და კეთილმოწყობილ გზებს მოითხოვს. მაგრამ საგზაო სამშენებლო ორგანიზაციები ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფენ ამ ამოცანის წარმატებით შესრულებას.

სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების არასწორი ორგანიზაციის, მასალების დაგვიანებით მიტანის და სამუშაო დროის გახანგრძლივების გამო დიდი ხნის განმავლობაში გადათხრილია ქუჩები და მიმდინარეობს სხვადასხვა სამუშაოები, რაც ქმნის უსუფთაობას.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ზოგიერთი ნაწილი და საწარმო განიცდის წყლის სიმცირეს, წყალსადენის ტრესტი არ ახორციელებს ღონისძიებებს წყლის უმიზნოდ დაკარგვის შესამცირებლად.

თბილისის საწარმოებმა 1951 წლის გეგმა 107 პროცენტით შეასრულეს. მაგრამ არის ისეთი საწარმოებიც, რომლებიც გეგმას ვერ ასრულებენ.

ფეხსაცმლის პირველი და მეორე ფაბრიკების, ზეთსახდელი ქარხნის, მარგარინის ქარხნის და სხვა საწარმოთა ხელმძღვანელების უპასუხისმგებლობა და უყაირათო მუშაობის შედეგად გადიდდა გამომშვებული პროდუქციის თვითღირებულება, რითაც სახელმწიფომ 7.659.900 მანეთი დაკარგა.

ახალი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების შესრულება უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის შემდგომ აყვავებას. წინადადება შემომაქვს დამტკიცდეს წარმოდგენილი ბიუჯეტი.

ქალაქ თბილისის მშრომელები ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით უმოკლეს დროში აღმოფხვრიან მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და უფრო კეთილმოწყობილს გახდიან რესპუბლიკის დედაქალაქს.

დიდება ჩვენს საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს! **(ტაში).**

მარქსის გენიალური ქმნილება

(„კაპიტალის“ I ტომის რუსული თარგმანის გამოშვების ოთხმოცი წლისთავის გამო)

1872 წელს რუსულ ენაზე პირველად გამოვიდა კ. მარქსის „კაპიტალის“ I ტომი. რუსული ენა პირველი ენა იყო, რომელზეც ითარგმნა ეს გენიალური ქმნილება.

როდესაც დაიწყო მოლაპარაკება „კაპიტალის“ რუსულ ენაზე თარგმნის შესახებ, მარქსმა ეს ამბავი მაშინვე გაუზიარა თავის თანამებრძოლსა და მეგობარს—ფრიდრიხ ენგელსს. „მე, რა თქმა უნდა, — წერდა იგი,—უაღრესად გამახარა ცნობამ, რომ ჩემი წიგნი გამოვა პეტერბურგში **რუსულად** თარგმნილი“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. XXIV, გვ. 110. რუს. გამ.).

მარქსიზმის ფუძემდებელნი მრავალი წლის მანძილზე დიდ ყურადღებას აქცევდნენ რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას და მოუთმენლად მოელოდნენ რევოლუციას რუსეთში. სურდა რა დახმარებოდა რუს რევოლუციონერებს გამოენახათ თვითმპყრობელობაზე გამარჯვების ნამდვილი გზა, მარქსი ცდილობდა გაეცნო რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრისათვის თავისი ნაწარმოებნი და განსაკუთრებით „კაპიტალი“, რომელსაც იგი „თავისი ცხოვრების საქმეს“ უწოდებდა.

რუსულ ენაზე „კაპიტალის“ თარგმნა ჯერ კიდევ 1869 წელს სცადა ბაკუნინმა, მაგრამ მან ვერ შეასრულა თავისი განზრახვა.

ამ შრომის თარგმნას შეუდგა რუსი რევოლუციონერი-ნაროდნიკი, I ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს წევრი, მარქსის ახლო მეგობარი გ. ა. ლოპატინი, რომელიც 1870 წელს ლონდონში ცხოვრობდა. მიუხედავად იმისა, რომ დრო არ ჰქონდა, მარქსი არათუ დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ლოპატინის მუშაობას, არამედ პირადადაც იღებდა მასში მონაწილეობას. თავისი ახსნა-განმარტებებითა და რჩევებთ იგი ეხმარებოდა მთარგმნელს გაეგო საგნის დედაარსი, სტილის თავისებურება, აგრეთვე გამოენახა ის რუსული ტერმინოლოგია, რომელიც შეესაბამებოდა „კაპიტალის“ იდეის მთელი მეცნიერული სიღრმის ზუსტ აზრობრივ ასახვას. მას შემდეგ, რაც ლოპატინმა მუშაობა შეწყვიტა იმისათვის, რათა განეხორციელებინა მეფის თვითმპყრობელობის ბრძყალებისაგან ჩერნიშევსკის განთავისუფლების თავისი გეგმა, თარგმნა განაგრძო დანიელსონმა—რუსმა ეკონომისტმა, ნაროდნიკობის ერთ-ერთმა იდეოლოგმა, „კაპიტალის“ სამივე ტომის მთარგმნელმა.

რუსეთში „კაპიტალის“ გამოსვლა დიდი დღესასწაული იყო მარქსისათვის. რუსულ ენაზე მისი ნაწარმოების ეგზემპლარის მიღების პასუხად იგი სწერდა დანიელსონს: „უწინარეს ყოვლისა დიდი მადლობა მშვენიერ ყდაში ჩასმული ეგზემპლარისათვის. თარგმანი შესრულებულია **ოსტატურად**“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. მიმოწერა რუს პოლიტიკურ მოღვაწეებთან. 1947 წ. რუს. გამ., გვ. 61).

მარქსსა და ენგელსს, როგორც I ინტერნაციონალის ბელადებსა და შესანიშნავ თეორიულ ნაწარმოებთა ავტორებს, „კაპიტალის“ გამოცემამდეც იცნობდა რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის ვიწრო წრე. ზოგიერთი პირი რუსეთში იცნობდა მარქსიზმის ფუძემდებელთა ცალკეულ ნაწარმოებებს, აგრეთვე „კაპიტალის“ I ტომს, რომელიც 1867 წელს გამოვიდა გერმანულ ენაზე, მაგრამ ეს შრომები რამდენადმე ფართოდ არ ყოფილა გავრცელებული.

მეფის ცენზურამ „კაპიტალის“ I ტომის გამოშვების ნება დართო, რადგან მიაჩნდა, რომ ამ წიგნს „ბევრი არავინ წაიკითხავს რუსეთში და კიდევ უფრო ნაკლები გაიგებს მას“ („კრასნი არხივ“, 1933 წ., ტ. I (56) გვ. 7). მაგრამ მეფის ცენზორთა იმედი არ გამართლდა: რუსეთში „კაპიტალის“ გამოცემამ მნიშვნელოვანი ინტერესი და დიდი გამოხმაურება გამოიწვია. „კაპიტალის“ I ტომი, რომელიც 1872 წლის აპრილში გამოვიდა 3.000 ცალი ტირაჟით, სწრაფად გაიყიდა. ეს იმ დროისათვის უმაგალითო მოვლენა იყო.

„კაპიტალი“ იყო მარქსის მიერ კაპიტალიზმის ისტორიის გიგანტური ფაქტიური მასალის ორმოცი წლის მანძილზე შესწავლის შედეგი. ამ შრომის გამოსვლამდე მარქსმა კოლოსალური მუშაობა გასწია პროლეტარიატის ფილოსოფიის—დიალექტიკური მატერიალიზმის შესაქმნელად.

„კაპიტალის“ პირველ ტომში გამოკვლეულია კაპიტალისტური წარმოების უშუალო პროცესი. მასში განხილულია წარმოების საქონლური ფორმის დედაარსი და წინააღმდეგობანი და ნაჩვენებია, რომ მხოლოდ შრომა ქმნის ღირებულებას.

მარქსის უდიდესი დამსახურებაა ის, რომ მან აღმოაჩინა კაპიტალისტური საზოგადოების წარმოშობის, განვითარებისა და დაღუპვის ეკონომიური კანონები. მან ფარდა ახადა კაპიტალიზმის საიდუმლოებას—მუშები ქმნიან ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც კაპიტალისტი ითვისებს. ამით გამოვლენებულ იქნა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის შეურიგებელ წინააღმდეგობათა და კლასობრივი ბრძოლის საფუძვლები. უაღრესად მნიშვნელოვანია მარქსის მოძღვრებაში „**კაპიტალის დაგროვების**, ე. ი. ზედმეტი ღირებულების ნაწილის კაპიტალად გადაქცევის ანალიზი, მისი გამოყენება ახალი წარმოებისათვის.

ღრმად და ყოველმხრივ დაასაბუთა რა კაპიტალიზმის სიკვდილის განაჩენი, მარქსმა მუშათა კლასი აღჭურვა მძლავრი იდეური იარაღით პროლეტარიატის დიქტატურისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში. მარქსის იდეას პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ ლენინმა მარქსიზმის მთავარი იდეა უწოდა. მარქსმა პროლეტარიატს უჩვენა მისი, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავისა და ახალი, სოციალისტური საზოგადოების შემოქმედის მსოფლიო-ისტორიული როლი.

„მას შემდეგ, რაც ქვეყნად არსებობენ კაპიტალისტები და მუშები, — წერდა ენგელსი „კაპიტალის“ I ტომის გამოსვლასთან დაკავშირებით, — ჯერ არ გამოცემულა არც ერთი წიგნი, რომელსაც ისეთი მნიშვნელობა ჰქონოდა მუშებისათვის, როგორიც აქვს იმ წიგნს, რომელიც ჩვენს წინაშე დევს“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ. ტ. XIII, ნაწ. I, გვ. 230, რუს. გამ.).

„კაპიტალის“ გამოცემა დაემთხვა გარდატეხის ისტორიულ პერიოდს, როცა რუსეთში ძალაში შედიოდა და დაჩქარებით ვითარდებოდა კაპიტალიზმი. ქალაქში და სოფლად იცვლებოდა კლასობრივი სტრუქტურა, გლეხობა ფენებად იყოფოდა, გამოყოფდა კულაკურ ზედაფენას და ამრავლებდა სოფლის პროლეტარებსა და ნახევრადპროლეტარებს. გაჩნდა სამრეწველო პროლეტარიატი, რომელმაც დაიწყო ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ. უკვე გასული საუკუნის 70-იან და განსაკუთრებით 80-იან წლებში მუშათა აუტანელი ექსპლოატაციის გამო სტიქიურად ხდებოდა გაფიცვები. მუშები მოითხოვდნენ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებას. 70-იან წლებში გაჩნდნენ პირველი მუშათა ორგანიზაციები: „სამხრეთ რუსეთის მუშათა კავშირი“ და „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირი“.

მაგრამ პროლეტარიატი და მისი კლასობრივი ბრძოლა იმ დროს ჯერ კიდევ არ იპყრობდა რევოლუციური ინტელიგენციის ყურადღებას, რომელმაც თავისი მოღვაწეობა მთლიანად გლეხობის ბედს დაუკავშირა. ნაროდნიკებს მთავარ რევოლუციურ ძალად მიაჩნდათ გლეხობა; მათ არ ესმოდათ, რომ მუშათა კლასი საზოგადოების ყველაზე რევოლუციური და ყველაზე მოწინავე კლასია. ამავე დროს სოფლადაც კაპიტალიზმი სულ ახალ და ახალ პოზიციებს იპყრობდა და იჭრებოდა ნაროდნიკობის „წიდათა წიდაში“ — სასოფლო თემში, შლიდა მას. თვით ცხოვრება აქარწყლებდა ნაროდნიკების შემცდარ შეხედულებებს, ააშკარავებდა მათს რეაქციულობას.

მარქსის გენიალური უკვდავი ნაწარმოები, რომელმაც სრული გადატრიალება მოახდინა ადამიანთა საზოგადოების შესახებ შეხედულებებში, ცხადყოფდა კაპიტალიზმის ჩასახვის, განვითარების საიდუმლოებას და უდავოდ ამტკიცებდა, რომ გარდუვალი და აუცილებელია სოციალისტური რევოლუცია და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. მარქსმა თავის შრომაში ცხადყო, რომ კაპიტალიზმი, რომელიც ბუნებრივი კანონზომიერებაა, წარმოიშობა საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე, მაგრამ ასეთივე კანონზომიერებით იგი უნდა დაიღუპოს პროლეტარული რევოლუციის შედეგად, რათა ადგილი დაუთმოს საზოგადოებრივი განვითარების ახალ, უფრო პროგრესულ ფორმას — კომუნიზმს.

მარქსმა აღმოაჩინა კაპიტალიზმის განვითარების კანონი—ზედმეტი ღირებულების წარმოება მუშათა ექსპლოატაციის გზით— და ამხილა კაპიტალისტური ექსპლოატაციის მთელი სისტემა, დაასაბუთა რა ექსპლოატატორული წყობილების რევოლუციური დამხობის აუცილებლობა. მან დიდი დამაჯერებლობით ცხადყო, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში „...ერთ პოლუსზე სიმდიდრის დაგროვება არის ამავე დროს სიღატაკის, მტანჯველი შრომის, მონობის, უმეცრების, გაველურებისა და მორალური დეგრადაციის დაგროვება მოპირდაპირე პოლუსზე“ (კ. მარქსი. „კაპიტალი“, ტ. I, 1949 წ. რუს. გამ. გვ. 651).

ინგლისის მაგალითით, სადაც „ყველა სხვა ქვეყანასთან შედარებით კაპიტალის დესპოტიზმმა და შრომის მონობამ უმეტეს განვითარებას მიაღწია“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ., ტ. IX, გვ. 259. რუს. გამ.), აგრეთვე ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ ასეთივე მტაცებლური ამერიკის კაპიტალიზმის მაგალითით, რომელიც როგორც ორი წვეთი წყალი ჰგავს თავის თანამოძმეს, მარქსმა ცხადყო, რომ კაპიტალიზმის განვითარების გზა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის, ძარცვის, გამცემლობის, მოსყიდვისა და მკვლელობათა გზაა. იგი უდიდეს მსხვერპლად უჯდება კაცობრიობას და მისი ყოველი ფორიდან გამოდის სისხლი და ტალახი.

ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონების მეცნიერულ დასაბუთებას და კაპიტალიზმის მამხილებელ მასალას, რაც მოცემულია „კაპიტალში“, არ შეიძლება არ გამოეწვია მგზნებარე დავა რუსეთის განვითარების შემდგომი გზების შესახებ.

70-იანი წლების ნაროდნიკებმა ხალისით ზიიღეს „კაპიტალის“ მკაფიო მამხილებელი მასალა, რომელიც უცილობელი საბრალდებო აქტი იყო კაპიტალიზმის წინააღმდეგ. იგი მათ მიაჩნდათ თითქოს კიდევ უფრო მეტ სტიმულად, რათა რუსეთისათვის გამოენახათ სასწაულთმოქმედი, დასავლეთისაგან განსხვავებული, არაკაპიტალისტური გზა.

მაგრამ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ „კაპიტალის“ იმ დებულებებს, რომლებიც აცამტვერებდნენ მათს უტოპიურ ილუზიებს რუსეთის განვითარების „თავისთავადი“, არაკაპიტალისტური გზის შესახებ.

მარქსიზმი რუსეთში გაიზარდა და განმტკიცდა ნაროდნიკობასთან ბრძოლაში, ნაროდნიკობასთან, რომელიც აფერხებდა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის განვითარებას, ხელს უშლიდა მუშათა კლასის დამოუკიდებელი რევოლუციური პარტიის შექმნას. ნაროდნიკობის წინააღმდეგ ბრძოლას, მეცნიერული სოციალიზმის იდეების, მარქსისა და ენგელსის იდეების გავრცელებას შეუდგა რუსეთის პირველი მარქსისტული ჯგუფი, პლეხანოვის ჯგუფი „შრომის განთავისუფლება“, რომელიც 1883 წელს წარმოიშვა. მან გადამწყვეტი იერიში მიიტანა ნაროდნიკობის წინააღმდეგ და შეუდგა მეცნიერული სოციალიზმის იდეების — „კაპიტალის“ იდეების გავრცელებას რუსეთში. მაგრამ ამ ჯგუფმა მხოლოდ თეორიულად დააარსა სოციალ-დემოკრატია და პირველი ნაბიჯი გადადგა მუშათა მოძრაობისაკენ. რუსეთის მუშათა წრეებში მარქსიზმის იდეების, „კაპიტალის“ იდეების პროპაგანდას მაშინ არავინ გასცილებია.

როგორც ცნობილია, მარქსმა ვერ მოასწრო დაემთავრებინა თავისი უზარმაზარი შრომა კაპიტალის შესახებ, და მისი გარდაცვალების შემდეგ „კაპიტალის“ II და III ტომის დამუშავება და გამოცემა განახორციელა მისმა უახლოესმა და ერთგულმა მეგობარმა ფ. ენგელსმა. „კაპიტალის“ II ტომი, რომელიც შეიცავს კაპიტალის მიმოქცევის პროცესის ანალიზს, რუსეთში გამოვიდა 1885 წელს, ხოლო III ტომი, რომელიც მიძღვნილია მთლიანად კაპიტალისტური წარმოების პროცესის ანალიზისადმი,—1896 წელს.

80-იან და 90-იან წლებში „კაპიტალს“ შედარებით ფართოდ ავრცელებდნენ მარქსისტულ წრეებში, განსაკუთრებით, „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ ორგანიზაციებში.

ჯერ კიდევ მარქსისა და ენგელსის სიცოცხლეში ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა გააჩაღეს ბრძოლა „კაპიტალის“ წინააღმდეგ — თავდაპირველად საყო-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საერთაშორისო ეკონომიკურ თათბირზე

8 აპრილს საერთაშორისო ეკონომიურ თათბირზე გრძელდებოდა სექციების მუშაობა.

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების სექციაში გამოვიდნენ ეკონომისტი **მუჰამერ სპახიუ** (ალბანეთი), ფირმა „ჰარუი სონსის“ წარმომადგენელი **მ. ჰარუი** (პაკისტანი). ფირმა „ცენტრორტოკისის“ გენერალური დირექტორი **ფ. ადამეკი** (ჩეხოსლოვაკია). საგარეო ვაჭრობის კონიუნქტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი **ნ. ვ. ორლოვი** (სსრ კავშირი), პაკისტანის ეკონომიურ კვლევათა საბჭოს პრეზიდენტი **კ. მ. ფარიდი** და სავაჭრო პალატის თავმჯდომარე **სუხიარ ტეჯასუკმანა** (ინდოეთი).

თავის გამოსვლაში ნ. ვ. ორლოვმა აღნიშნა, რომ ქვეყნებს შორის ნორმალური საქმიანი ურთიერთობის დარღვევის ერთ-ერთი შედეგია სავაჭრო ბალანსების ქრონიკული უწონასწორობა, ოქროსა და ვალუტის მარაგის გამოლევა, ვალუტის კრიზისის გამწვავება ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო აძლიერებს საერთაშორისო ვაჭრობის მოშლას.

— დოლარის დახმარებამ, — აღნიშნა ორატორმა, — ვერ აღმოფხვრა მწვავე ეკონომიური სიძნელეენი, რომლებიც კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოიშვა ომის შემდეგ. როგორც თათბირის მთელ რიგ მონაწილეთა განცხადებიდან ჩანს, ეს სიძნელეები დარჩა და მთელ რიგ შემთხვევებში გამწვავდა.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს, — განაგრძო ორლოვმა, — სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური ურთიერთობა. ამ ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობა განუწყვეტლივ ფართოვდება. საქონელბრუნვა ამ ქვეყნებს შორის 1948 წლიდან 1950 წლამდე ერთთიოროად და მეტად გაიზარდა.

ქვეყნების ნორმალური ეკონომიური თანამშრომლობის პირობებში საერთაშორისო ვაჭრობის არსებითი გაფართოება, თქვა დასასრულ ორლოვმა, უზრუნველყოფს იმ ეკონომიურ სიძნელეთა შენელებას, რომლებსაც ამჟამად ბევრი ქვეყანა განიცდის, ხელს შეუწყობს პირობების შექმნას ადამიანთა ცხოვრების დონის ამაღლებისა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის.

• • •

სოციალურ პრობლემათა გადასაჭრელად საერთაშორისო თანამშრომლობის სექციაში ორატორები აღნიშნავდნენ, რომ საერთაშორისო ვაჭრობის შემცირება და ომისათვის მზადება დამღუპველ გავლენას ახდენს მრავალი ქვეყნის ეკონომიკაზე და აუარესებს ხალხის მსყიდველობას. ისინი ლაპარაკობდნენ ხალხთა მისწრაფებაზე—განვითარონ ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობა, რომელმაც დიდი როლი უნდა შეასრულოს უმუშევრობის, სურსათის ნაკლებობისა და სხვა სოციალურ უბედურებათა პრობლემების გადაჭრაში. პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური **საბჭოს** თავმჯდომარემ **ვ. ვ. კუზნეცოვმა** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საბჭოთა პროფკავშირები საკუთარ უუბრენ მხარს სსრ კავშირსა და სხვა ქვეყნებს შორის ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების პოლიტიკას, მშვიდობიანი საქმიანი ურთიერთობის პოლიტიკას, როგორც ხალხთა ცხოვრების გაუმჯობესების ერთ-ერთ საშუალებას.

როგორც ორატორმა განაცხადა, ადამიანთა ცხოვრების პირობებზე საერთაშორისო ვაჭრობის გავლენის საკითხის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უმუშევრობის პრობლემას. საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის აღდგენა და გაფართოება დიდ სარგებლობას მოუტანდა უმუშევრობის შემცირებისა და მილიონობით ადამიანის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს. მარტო საბჭოთა დაკვეთების შესრულება, რომლებზეც ილაპარაკა სსრ კავშირის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ნესტეროვმა, — განაცხადა კუზნეცოვმა, — სამი წლის განმავლობაში სამუშაოთი უზრუნველყოფს სულ ცოტა ერთნახევარ-ორ მილიონ ადამიანს. ოჯახის წევრებთან ერთად ეს არსებობის საშუალებებს მისცემს 6 მილიონამდე კაცს.

შეეხო რა თათბირის მონაწილეთა მიერ გამოთქმულ აზრს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და სამხედრო ხარჯების შემცირების შესახებ, კუზნეცოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა პროფკავშირები მხარს უჭერენ ამ წინადადებას.

საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის შეწყვეტა ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებების შედეგია, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, აღნიშნა კუზნეცოვმა, რომლებიც მოწოდებული არიან დაიცვან მუშათა ინტერესები, შეუძლიათ ბევრი რამ გააკეთონ ამ დაბრკოლებათა აღმოფხვრისათვის. მაგრამ ზოგიერთი ქვეყნის პროფკავშირთა ლიდერებმა უარი თქვეს საერთაშორისო ეკონომიურ თათბირში მონაწილეობაზე, რითაც, მშრომელთა ინტერესების საზიანოდ, მხარი დაუჭირეს საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის ჩაფუშვის პოლიტიკას.

დასასრულ პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე შეეხო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და, კერძოდ, მისი ეკონომიური და სოციალური საბჭოს როლს საერთაშორისო თანამშრომლობის დარგში. სამწუხაროდ, თქვა მან, ეკონომიური და სოციალური საბჭო არ ეძებს რეალურ გზებს ხალხთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. სასარგებლო იქნება, ეს საბჭო რომ ყურადღებით მოეკიდებოდეს თათბირის მონაწილეთა წინადადებებსა და რეკომენდაციებს და თავის მხრივ მიიღებდეს ღონისძიებებს სხვადასხვა ქვეყნებს შორის ეკონომიური თანამშრომლობის აღდგენისა და გაფართოებისათვის. ხალხთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

რუჯერო ამადუციმ (იტალია) განაცხადა, რომ მის ქვეყანაში ყველაზე სერიოზული პრობლემაა უმუშევრობა, და იმედი გამოთქვა, რომ იტალიის საქმიანი წრეები მიიღებენ სხვა ქვეყნების საქმიანი წრეებისა და საბჭოთა კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა წინადადებებს, რომლებიც მიმართულია სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისაკენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში უმუშევრობის ზრდაზე ილაპარაკა ამერიკის პროფკავშირების მოლოდინმა **არტურ დეიმმა.**

სუსტად განვითარებული ქვეყნების პრობლემათა სექციაში კვლავ იხილავდნენ ამ ქვეყნების ეკონომიური პროგრესის დაჩქარების შესაძლებლობას, რისთვისაც საჭიროა განვითარდეს თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპზე დამყარებული საერთაშორისო ვაჭრობა.

— ჩვენ, — განაცხადა თავის სიტყვაში სსრ კავშირის სავაჭრო პალატის თავმჯდომარის მოადგილემ **დ. გ. ბორისენკომ,** — ვეთანხმებით სუსტად განვითარებული ქვეყნების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ლაპარაკობდნენ მათი ქვეყნების მრეწველობის განვითარების აუცილებლობაზე.

ბორისენკომ აღნიშნა, რომ საბჭოთა მრეწველობას შესაძლებლობა აქვს დაამზადოს მანქანები და მოწყობილობა, რომლებიც სუსტად განვითარებულ ქვეყნებს დასჭირდებათ მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის სულ სხვადასხვა დარგისათვის. საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციები მზად არიან აგრეთვე გაყიდონ სხვა საქონელიც, რომლებიც ამ ქვეყნებს ესაჭიროებათ.

თათბირის მონაწილეებმა — სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა, რომლებიც სექციაში შედიან, შეიტანეს პროექტები რეკომენდაციებისა სუსტად განვითარებულ და ეკონომიურად მოწინავე ქვეყნებს შორის ვაჭრობის გაფართოების, ამ ვაჭრობაში დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და იმის შესახებ, რომ განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიურ პროგრესს. (საკდესი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში

ნიუ-იორკი, 6 აპრილი. (საკდესი). 5 აპრილს გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის № 2 კომიტეტის პირველი სხდომა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა კოენმა კომიტეტის განსახილველად შეიტანა „წინადადებები შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების თაობაზე ცნობების თანდათანობითი და მუდმივი გამოვლინებისა და შემოწმების შესახებ“. როგორც ამერიკის წინანდელი წინადადებები, ისე ეს წინადადებებიც სრულებით არ ეხება ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხებს, არამედ ითვალისწინებს მხოლოდ უბადაღებულ „გამოვლინებასა და შემოწმებას“.

ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ამერიკის წინადადებებს.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ი. ა. მალიკი ამერიკის დელეგატს შეეკითხა, თუნდაც დაახლოებით რა ვადით არის ნავარაუდევი იმ „ხუთი სტადიის“ განხორციელება, რომლებსაც ითვალისწინებს ამერიკის წინადადებები შეიარაღების თაობაზე ცნობების „გამოვლინებისა და შემოწმების“ შესახებ, და რამდენი წლის შემდეგ უნდა იქნას მიღებული, ამ გეგმის თანახმად, გადაწყვეტილება ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ.

ამაზე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა შეძლო მხოლოდ ეპასუხნა: „არ ვიცი“.

წარადგინა რა შემდეგ წინასწარი შენიშვნები ამერიკის წინადადებათა გამო, ი. ა. მალიკმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებებში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს, თქვა შემდეგ მალიკმა, უძნელდება თუნდაც დაახლოებით აღნიშნოს, თუ რამდენი დრო მოუნდება შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შესახებ ცნობების გამოვლინების და შემოწმების მის მიერ წარმოდგენილი „ხუთი სტადიის“ განხორციელებას. მაგრამ ამ ვადების მიხედვრა ძნელი როდია.

ამერიკის დელეგატმა, აღნიშნა მალიკმა, ილაპარაკა იმაზე, რომ სანამ არ იქნება დაწესებული კონტროლის სისტემა, შეუძლებელია ატომური იარაღის აკრძალვა და შეიარაღების შემცირება. მაგრამ ატომური იარაღის აკრძალვა არავის არა აქვს წარმოდგენილი კონტროლის სისტემის დაუწესებლად.

საბჭოთა წინადადებებში კონკრეტულად გათვალისწინებულია, რომ საერთაშორისო საკონტროლო ორგანო, რომელიც შეიქმნება უშიშროების საბჭოს ჩარჩოებში, მტკიცე კონტროლს უნდა უწევდეს ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ გადწყვეტილებათა შესრულებას. ჩვენ აგრეთვე წინადადება შემოგვაქვს, რომ ამ საკონტროლო ორგანომ შეამოწმოს შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების მდგომარეობის შესახებ სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი ცნობები. ეს არის შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვის კონკრეტული პროგრამა, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შესახებ სრული ცნობების წარმოდგენისა და ამ ცნობების შემოწმებიხ კონკრეტული პროგრამა. ეს, რაც აქ ამერიკის დელეგატმა შემოგვთავაზა, არის მხოლოდ დაზვერვის მიზნით ცნობების შეგროვების პროგრამა და შეიარაღების შემცირებასა და ატომური იარაღის აკრძალვასთან მას საერთო არა აქვს რა და არც შეიძლება ჰქონდეს.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, განაცხადა მალიკმა, რომ საერთაშორისო ნდობის განმტკიცების ყველაზე სამედო და ყველაზე უკეთესი გზაა გენერალური ასამბლეის მიერ გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, რომ ატომური იარაღი და მასობრივი მოსპობის ყველა სხვა სახეობის იარაღი აკრძალულია, ხოლო მთელი შეიარაღება და შეიარაღებული ძალები არსებითად მცირდება, რომ ამ აკრძალვისა და შემცირების განხორციელებისადმი წესდება მტკიცე საერთაშორისო კონტროლი, რისთვისაც იდება სპეციალური საერთაშორისო კონვენცია ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, იქმნება სპეციალური საერთაშორისო საკონტროლო ორგანო, რომლის ფუნქციებს შეადგენს კონტროლი გაუწიოს ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ გადაწყვეტილებათა შესრულებას და შეამოწმოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შესახებ სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი ცნობები. სწორედ ამით უნდა დავიწყოთ საქმე.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ი. ვიშინსკიმ გენერალური ასამბლეის სესიაზე საკმაოდ განმარტა ეს ჩვენი სისტემა, როგორც ისეთი სისტემა, რომელიც სრულ შესაძლებლობას გვაძლევს დაუყოვნებლივ ავკრძალოთ ატომური იარაღი, დაუყოვნებლივ არსებითად შევამციროთ შეიარაღებული ძალები და შეიარაღება და დავიწესოთ მტკიცე საერთაშორისო კონტროლი ამ აკრძალვისა და შემცირების განხორციელებისადმი.

ამერიკის დელეგატისა და მისი მომხრე საფრანგეთისა და ინგლისის დელეგატების განცხადებებიდან სავსებით ნათლად ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მიზანია ჩაბას განიარაღების კომისია უსარგებლო კამათში შეიარაღების შესახებ ცნობების შეგროვების საკითხზე, გააჭიანუროს ამ საკითხის განხილვა და არ დაუშვას გადაწყვეტილების მიღება შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. ადვილი გასაგებია, რომ შეერთებული შტატების წინადადებანი აშკარა უარის თქმაა ატომური იარაღის აკრძალვასა და შეიარაღების შემცირებაზე.

ასეთი გეგმის მიღება, თქვა მალიკმა, იქნებოდა ის, რომ კომისია დაადგა საზოგადოებრივი აზრის აშკარა მოტყუების გზას, ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების საკითხი შეცვალა შეიარაღების შესახებ ცნობების შეგროვების საკითხით. ამას ვერ დავეთანხმებით. კომისიის ძირითადი ამოცანაა შეიმუშაოს რეკომენდაციები ატომური იარაღის აკრძალვისა და ასეთი აკრძალვის შესრულებისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესების თაობაზე, აგრეთვე შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების თაობაზე პრინციპული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ მიღების შესახებ.

რაც შეეხება საკითხს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების თაობაზე ცნობების შეგროვებისა და წარმოდგენის შესახებ, განაგრძო მალიკმა, საკითხი ყველა სახელმწიფოს მიერ შეიარაღების, მათ შორის ატომური იარაღის თაობაზე სრული ოფიციალური ცნობების წარმოდგენის შესახებ შეიძლება ადვილად გადაიჭრას მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნება დადგენილება ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა ხუთი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების დროის უმოკლეს პერიოდში ერთი მესამედით შემცირების შესახებ.

საბჭოთა კავშირის დელეგაციას არაერთხელ განუცხადებია და ხაზგასმით აღუნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი ემხრობა ყველა სახელმწიფოს მიერ სრული ოფიციალური ცნობების წარმოდგენას შეიარაღების შესახებ, ატომური იარაღის ჩათვლით. ეს ცნობები წარმოდგენილ უნდა იქნას დაუყოვნებლივ და გადაუდებლად მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნება გადაწყვეტილება ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ. აი შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის ამოცანის გადაჭრის გზა. ეს არის საერთაშორისო ნდობის გზა, ეჭვების აღმოფხვრის გზა.

ამერიკის გეგმას, თქვა დასასრულ მალიკმა, არ შეიძლება მოჰყვეს არც შეიარაღების შემცირება, არც ატომური იარაღის აკრძალვა, და, მაშასადამე, იგი ვერ აღადგენს ნდობას, ვერ აღმოფხვრის ეჭვებს. მისი მიზანია გაძალიეროთ ურთიერთეჭვი, გააძლიეროს უნდობლობა და ამით გაართულოს საერთაშორისო ვითარება. საერთაშორისო ვითარების შემდგომი გართულება ხელსაყრელია იმათთვის, ვისაც ათომით და ასობით მილიარდ მოგებას აძლევს გამალებული შეიარაღება, აგრესიის პოლიტიკა, ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების პოლიტიკა.

კომიტეტის შემდეგი სხდომა გაიმართება 10 აპრილს.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 8 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით ფრონტის ყველა უბანზე განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ, ამასთან ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

სახალხო არმიის ნაწილებმა აღმოსავლეთ სანაპიროსთან ჩაძირეს მოწინააღმდეგის ორი ხომალდი, რომლებიც ცდილობდნენ ცეცხლი დაეშინათ სანაპირო დასახლებული რაიონებისათვის.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიის ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის 4 ავიაგამანადგურებელი.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 7 აპრილი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგის მე-3 პუნქტის განმხილველი ქვეკომიტეტის დღევანდელ სხდომაზე არავითარი პროგრესი არ ყოფილა მიღწეული. ეს იმით აიხსნება, რომ ამერიკელები კვლავ დაჟინებით მოითხოვენ კორეის საშინაო საქმეებში ჩარევას კორეაში აეროდრომების მიმართ შეზღუდვების დაწესების გზით, აგრეთვე იმით, რომ უარს ამბობენ მიიღონ ჩვენი წინადადება ნეიტრალური ქვეყნების კანდიდატურათა საკითხის გონივრულად გადაჭრის შესახებ.

ამერიკის თვითმფრინავების თავდასხმა კორეელთა და ჩინელთა დელეგაციის საგრანსპორტო ავტომანქანებზე

კეკინი, 7 აპრილი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

გუშინ კორეელთა და ჩინელთა დელეგაციის მთავარმა მეკავშირე ოფიცერმა პოლკოვნიკმა ჩან ჩუნ სანმა ამერიკელ მეკავშირე ოფიცერს პოლკოვნიკ ენდრიუ ჯ. კინის მტკიცე პროტესტი განუცხადა იმის გამო, რომ 5 აპრილს ამერიკის თვითმფრინავებმა თავს დაესხნენ კორეელთა და ჩინელთა დელეგაციის სატრანსპორტო ავტომანქანებს.

პროტესტში ნათქვამია: „5 აპრილს დილის 11 საათსა და 45 წუთზე თქვენმა ორმა სამხედრო თვითმფრინავმა კომსუდონის რაიონში 5 კილომეტრზე ხინსუს ჩრდილოეთით იერიში მიიტანა ჩვენი დელეგაციის სატრანსპორტო ავტომანქანებზე, რომლებსაც გარკვეული გამოსაცნობი ნიშნები ჰქონდათ, როცა ეს მანქანები ფხენიანიდან კესონში მიდიოდნენ. ერთი სატვირთო ავტომანქანა მთლიანად მოსპობილია; დაჭრილია ჩვენი დელეგაციის ტექნიკური პერსონალის 9 წევრი, ამასთან 3 მათგანი მძიმედ არის დაჭრილი.

ჩვენი მთავარი დელეგატის ინსტრუქციების შესაბამისად მტკიცე პროტესტს ვუცხადებთ თქვენს მხარეს ამ ინციდენტის გამო, რომლითაც დაარღვიეთ შეთანხმება და სერიოზული ზარალი მიაყენეთ ჩვენს მხარეს. ჩვენ მოვითხოვთ, რათა თქვენმა მხარემ დაუყოვნებლივ და მთელი პასუხისმგებლობით გამოიკვლიოს ეს ინციდენტი“.

შეთანხმების ასეთი დარღვევა არაერთხელ გამეორებულა, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები ყოველთვის „სინანულს“ გამოთქვამდნენ წარსულში ამ ინციდენტების გამო და გვპირდებოდნენ ყოველი ღონისძიების მიღებას, რომ არ დაეშვათ მათი გამეორება.

ქალთა საკავშირო პირველობა ქადრაბინულში

8 აპრილს, [illegible] ლ. ვოლპერ[illegible] მოიგო ე. ბიგლოვასთან, წააგო ი. გურფინკელთან და გაუთამაშებლად დანებდა ს. პოდვოინაიას. ბ. კრეზბერგმა გამარჯვების მიაღწია ნ. ვოიცეკოვთან და ბ. ვაისბერგთან.

ლ. კოგანმა დაამარცხა ს. პოდვოინაია და წააგო ტ. ფილანოვსკაიასთან. თ. სტრანდსტრემმა მოუგო ბ. ვაისბერგს.

ყაიმით დამთავრდა ტ. ფილანოვსკაია-ო. იგნატიევას და ს. როოტარე-ო. იგნატიევას პარტიები.

საერთაშორისო ოსტატ ო. ბიკოვას და მსოფლიოს ჩემპიონ ლ. რუდენკოს გამოტოვებული პარტია მწვავე ბრძოლის შემდეგ გადადებულია, ხოლო თ. სტრანდსტრემ-ტ. ფილანოვსკაიას გადადებული პარტია არ გათამაშებულა.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა **საბჭომ** ამხ. ვ. დ. ეორეიანშვილი დანიშნა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილედ კადრების დარგში.

საქართველოს სსრ მინისტრთა **საბჭომ** ამხ. ვ. ა. ლოლაძე გაათავისუფლა საქართველოს **სსრ** სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილის მოვალეობისაგან კადრების დარგში და ამხ. ნ. კ. სუხანოვი საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე მათი გადასვლის გამო. (საკდესი).

საზღვარგარეთის ლიტერატურის ქრესტომათიის საჯარო განხილვა

10 აპრილს, დღის 3 საათზე, **სტალინის სახელობის** თბილისის **სახელმწიფო** უნივერ**სიტეტში** (აუდიტორია № 107) საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ღია **სხდომაზე** განხილულ იქნება გ. ქიქოძის და კ. გამსახურდიას მიერ საშუალო სკოლებისათვის შედგენილი საზღვარგარეთის ლიტერატურის ქრესტომათია.

განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ მეცნიერი მუშაკები, მწერლები და მასწავლებლები.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — გედების ტბა (მე-5 ამ.); **რუსთაველის სახელობის** — ბედნიერი სამკუდლო; **მარჯანიშვილის სახელობის** — ხარატაანთ კერა; **გრიბოედოვის სახელობის** — ოცდაათი ვერცხლი (40, 41 ამ.); **სომხური დრამის** — არტისტი; **მუსიკალური კომედიის** — ცანის დედოფალი (1-ლი ამ.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — რევოლუციონური სამხედრო სიმღერა (9½ ს.); **თოჯინების ქართული** — მამლაყინწას თავგადასავალი (11 და 12½ ს.);

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — ფართოდ გავშალოთ ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა.

საქართველოს პროფსაბჭოში — საქარხნო ლექტორიუმები.

საერთო სათაურით. პირველი მაისის დღესასწაულის შესახვედრად. წერილები: დ. გობრონიძე—მახარაძელი მექანიზატორები. გ. ბაკოვლევი — პირადი სტახანოვური გეგმები.

გამოვიდა გაზეთ „სტალინელის“ პირველი ნომერი.

დ. ნიკოლაიშვილი — ჩამორჩენილ რაიონში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია — დეპუტატების შ. შეყლაშვილის, დ. შამბას, ვ. ალბოროვის, ა. ხელაძის, ვ. ხატიაშვილის, თ. ქვლოვიძისა და ვ. კორძაძის სიტყვები.

მესამე გვერდი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია — დეპუტატების ა. კამლაძის, შ. ჯანუყავაძის, ნ. ჯინჭარაძის, ი. დოლიძის, ა. მ. ყარაბაღლის, ვ. მირიანაშვილისა და შ. დავითულიანის სიტყვები.

მეოთხე გვერდი — საერთაშორისო ეკონომიურ თათბირზე. უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

მარქსის გენიალური ქმნილება

(დასასრული)

ველთაო დუმილით, ხოლო შემდეგ აღვირახსნილი დევნით და ცილისწამებით. უსინდისო ბურჟუაზიული პროფესორა ყოველნაირად ცდილობდა გაებათილებინა მარქსის დებულება კაპიტალისტური საზოგადოების დაღუპვის გარდუვალობის შესახებ და დაემტკიცებინა კაპიტალიზმის საფუძვლების მარადიულობა. თავისი კრიტიკის მთავარ მახვილს ისინი მიმართავდნენ მარქსის ეკონომიური თეორიის ქვაკუთხედის—ზედმეტი ღირებულების მოძვრების წინააღმდეგ. აღვირახსნილ ცრუმეცნიერებს ბანი მისცეს რეფორმისტებმა, II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებმა, რომლებიც გულმოდგინედ უკეთებდნენ რევიზიას და ამახინჯებდნენ მარქსიზმსა და მის ეკონომიურ თეორიას.

მარქსისა და ენგელსის უკვდავი იდეების დასაცავად გამოვიდნენ ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი. რუსული და საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით ლენინმა და სტალინმა დაიცვეს მარქს-ენგელსის მოძღვრება, შემდგომ განავითარეს იგი და ახალ საფეხურზე აიყვანეს. დიდი ბელადები აგრეთვე მარქსის ეკონომიური მოძღვრების განმგრძობნი არიან.

XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო კაპიტალიზმის ახალი, იმპერიალისტური სტადია. რუსეთი გახდა იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტი. XIX საუკუნის დამლევს რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა გადმოინაცვლა რუსეთში, რომელიც ყველა ქვეყანაზე უფრო ახლო იყო რევოლუციასთან.

ჯერ კიდევ ჭაბუკობის წლებში ლენინი და სტალინი ღრმად სწავლობდნენ მარქსის უკვდავ ქმნილებას და თავიანთი რევოლუციური მოღვაწეობის დაწყებიდანვე შემოქმედებითად იყენებდნენ „კაპიტალის“ დებულებებს რუსეთში მომხდარი ეკონომიური და პოლიტიკური ცვლილებების, კლასობრივ ძალთა განლაგების ანალიზის დროს, რევოლუციის მამოძრავებელი ძალების, საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის ადგილისა და როლის განსაზღვრის დროს.

იდგნენ რა შემოქმედებითი მარქსიზმის პოზიციებზე და ამდიდრებდნენ მას, ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა შეურიგებელი ბრძოლა გააჩაღეს მედავითნეობისა და თალმუდიზმის წინააღმდეგ, რისთვისაც მარქსიზმი, მარქსიზმის ცალკეული დასკვნები და ფორმულები მიაჩნდა... დოგმატების კრებულად.

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის გენიალური ნაწარმოებნი წარმოადგენენ მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარების ნიმუშს, მარქსიზმის გამდიდრებას ახალი დიდმნიშვნელოვანი დებულებებითა და დასკვნებით, რომლებიც გამომდინარეობენ პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებიდან.

დაეყრდნენ რა მარქს-ენგელსის მოძღვრებას და განაზოგადეს ახალ ეპოქაში რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოცდილება, ლენინმა და სტალინმა შეიმუშავეს რევოლუციური პროლეტარული პარტიის, ახალი ტიპის პარტიის პროგრამა, მისი სტრატეგია და ტაქტიკა.

„კაპიტალის“ ძირითად დებულებებზე დაყრდნობით ლენინმა მოგვცა იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი ფაზის, დასაბუთებული მარქსისტული ანალიზი, გვიჩვენა მისი წყლულები და მისი გარდუვალი დაღუპვის პირობები. კაპიტალიზმის უთანაბრო, ნახტომისებრი განვითარების კანონის საფუძველზე ვ. ი. ლენინმა, შემდგომ განავითარა რა მარქს-ენგელსის იდეები, შექმნა გენიალური მოძღვრება ცალკეულ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

ლენინის მოძღვრება იმპერიალიზმის შესახებ გაამდიდრა და შემდგომ განავითარა ი. ბ. სტალინმა. შეიმუშავა რა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის თეორია, ამხანაგმა სტალინმა შემდგომ განავითარა ლენინის მოძღვრება ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესახებ. დიდმა ბელადმა დაამტკიცა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების შესაძლებლობა და კომუნისტური მშენებლობის გენიალური პროგრამით შეაიარაღა ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა ხალხი.

ხელმძღვანელობდნენ რა მარქსისა და ენგელსის მიერ გამოთქმული აზრებით და შემოქმედებითად ავითარებდნენ მარქსიზმის ეკონომიურ მოძღვრებას, ლენინმა და სტალინმა შექმნეს სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომია, დასახეს სოციალისტური საზოგადოების აშენების კონკრეტული გზები და ფორმები, აღმოაჩინეს სოციალისტური ეკონომიკის კანონზომიერებანი და განსაზღვრეს პროლეტარიატის დიქტატურის როლი სოციალისტურ ეკონომიკაში. ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა შექმნეს მთლიანი, მწყობრი მეცნიერება კომუნისტური საზოგადოების აშენების გზების შესახებ.

„კაპიტალის“ უკვდავი იდეები, რომლებიც ლენინმა და სტალინმა გაამდიდრეს და შემდგომ განავითარეს გენიალურ შრომებში, უცილობლად შემოწმებული და ბრწყინვალედ დადასტურებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით, სოციალიზმის აშენებით და კომუნისტური მშენებლობის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებით ჩვენს ქვეყანაში.

თანამედროვე პირობებში ახალი, კიდევ უფრო მეტი ძალით დადასტურდა მარქსისა და ენგელსის გენიალური პროგნოზი კაპიტალიზმის დაღუპვის გარდუვალობის შესახებ. დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების შედეგად იმპერიალიზმის სისტემას ჩამოშორდნენ ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნები, იმპერიალისტური ჩაგვრის ხუნდები მოიშორა და წარმატებით აშენებს ახალ ბედნიერ ცხოვრებას დიდი ჩინელი ხალხი. ლენინიზმის უკვდავი იდეები კაპიტალისტური,